ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ლარი ისევ გაუფასურდა


გვ.4

**18 ოქტომბრიდან ოლივერ ტვისტი**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 2016 №247 (7173) ფასი: 50 თეთრი

# სოხუმში რუსი ტერორისტი აფეთქდა


გვ.5

დილის 7 საათზე მომხდარ აფეთქებას მხოლოდ რუსი ტერორისტი შეეწირა. ტელერადიოკომპანიის თანამშრომლები და დაცვა არ დაზარალებულან. მომხდარის მიუხედავად, აფხაზეთის ტელევიზიამ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა მუშაობა. აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით, გაძლიერებულია დაცვა სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.



## დავით დარჩიაშვილი: „არ მინდა, რომ ნაციონალური მოძრაობა ჯგუფებად დაიყოს“


გვ.2

„მანდატებზე უარი არ ვთქვით, რადგან ქვეყნის გადარჩენაში უნდა მივიღოთ მონაწილეობა“

## გივი თარგამაძე: „ბორის ჩაგუნავას ჩემი მანქანის აფეთქებასთან კავშირი არ აქვს“



გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეში ბრალდებულები ნათესავები არიან


გვ.7

## „ეროვნული ფორუმი ნაციონალებთან უმრავლესობის შექმნას არასდროს აპირებდა“


გვ.3

ანი მიროტაძე: „ერთადერთი ძალა, რომელთანაც ყოფილი ხელისუფლება თანამშრომლობს, „ქართული ოცნებაა“


გვ.6

ლონდონის ბირჟაზე პრემიუმ-ლისტინგში გასვლა იმას ნიშნავს, რომ საბანკო სექტორში შემოვა იაფი ფული. თუ ეს პროცესი კარგად დაიწყო, ეს გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას

## ზაზა სიორიძე: „მიკროსაფინანსოები გაჭირვებული ადამიანების მოტყუებით არიან დაკავებული“

## სოფიო ხორგუანი: „ოპოზიცია შეიძლება „ოცნების“ წიაღში გაჩნდეს“


გვ.4

## პაატა ჯიბლაძე: „დემოკრატიის ვითომ გადარჩენაზე ნაცმოძრაობის სატელიტები ტეხენ ხმაურს“


გვ.4

## ნინო ბურჯანაძე: „არჩევნების მეორე ტურს ვემიჯნებით“


გვ.2

ISSN 1987-9385

## ეკა ბესელია: „ჩვენს დღის წესრიგში ახალი პრემიერ-მინისტრის ძებნა არ დგას“


გვ.3

2016, 18 ოქტომბერი, №247

# დავით დარჩიაშვილი: „არ მინდა, რომ ნაციონალური მოძრაობა ჯგუფებად დაიყოს“

## „მანდატებზე უარი არ ვთქვით, რადგან ქვეყნის გადარჩენაში უნდა მივიღოთ მონაწილეობა“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში აუცილებლად უნდა შევიდეს. დარჩიაშვილი ამბობს, რომ ვისაც სხვა მეთოდი აქვს და სხვანაირად მოქმედება შეუძლია, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

***– ბატონო დავით, როგორ აფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს? მოელოდით მოვლენების ასე განვითარებას?***

– რთული სათქმელია. ერთი ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ „ქართული ოცნება“ თუ საკონსტიტუციო უმრავლესობას აიღებს, ბევრად მეტი ბერკეტი ექნება ხელში, რომ ქვეყანას მეტი ზიანი მიაყენოს. მართალია, ნაციონალურ მოძრაობას ექნება ტრიბუნა და ამ ტრიბუნიდან დეპუტატის მანდატით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმის თქმა, რომ არჩევნები გაყალბდა. ასევე მნიშვნელოვანი იქნება, ოპოზიციური ფრაქცია მთელ რიგ საკითხებზე ბოიკოტს რომ გამოაცხადებს. ასევე საერთაშორისო თანამეგობრობისთვის იმის თქმა, რომ ეკონომიკური თუ საგარეო პოლიტიკა ივანიშვილის ხელშია, მაგრამ ეს მაინც არის მცირედი.

***– თქვენ ამბობთ, რომ არჩევნები გაყალბდა, თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით მაჟორიტარულ ოლქებში არჩევნების მეორე ტური რამდენად იძლევა ამის თქმის შესაძლებლობას?***

– ერთი მეორეს არ გამორიცხავს. 137 ათასი ბიულეტენის ბათილად ცნობა რას ნიშნავს?! 137 ათასი უწიგნური აღმოჩნდა არჩევნებზე მისული?!



***– მოელოდით მოვლენების ასე განვითარებას? ყოფილი პრეზიდენტი უკრაინიდან ჩართვებში ამბობდა, რომ ის იმარჯვებდა, რომ არჩევნების დღეს ჩამოვიდოდა და პირადად დაიცავდა შედეგებს. ნაციონალური მოძრაობისთვის ამან უარყოფითი გავლენა იქონია?***

– მე არ მეგულება პოლიტიკური ძალა, რომელიც არჩევნების წინ არ ამბობდეს, რომ გაიმარჯვებს. აბა წაგებისთვის რომელი პოლიტიკური ძალა ან ლიდერი არის არჩევნების წინ განწყობილი!

***– ანალიტიკოსები ამბობენ, რომ სააკაშვილის ამ პიარსვლამ გამოიწვია საზოგადოების, ამომრჩევლის შიში, რომ სააკაშვილი არ დაბრუნდეს და სხვა პარტიის ამომრჩეველმაც კი, მაგალითად, თავისუფალი დემოკრატების, რესპუბლიკელების, ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“. არ ეთანხმებით ამ ანალიზს?***

– ვერ გეტყვით, საზოგადოება ჭრელია, ათასნაირი ხალხი არსებობს, ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს კიდევ – მღვდლის ცოლი. აბა რა გითხრათ, ვინ როგორ იხელმძღვანელა არჩევნებზე, როდესაც ის ხმას აძლევდა ამა თუ იმ პარტიას. ეს რთული სათქმელია. ყველაზე საგანგაშო არის ის, რომ დაახლოებით 10%-ში, ჩემი აზრით, გაყალბებით, სხვადასხვა მანიპულაციით, დაშინებით და სხვა ფაქტორებით მოხდა ჩარევა, რამაც არჩევნების შედეგები მნიშვნელოვანწილად შეცვალა.

არ მოველოდი, რომ ასეთი მანიპულაცია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მწვავედ არ შეფასდებოდა. თუმცა, ამის ახსნაც შეიძლება, რადგან საერთაშორისო თანამეგობრობა მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ გვიყურებს, რადგან ქართველი საზოგადოება არ მიაჩნია დალვინებულ, დემოკრატიულ საზოგადოებად, იცის ჩვენი უახლესი ისტორია. ამიტომ ის უფრო ზომიერია შეფასებებში. მეორე, არჩევნების გაყალბების ისეთი მეთოდიკა იქნა შემუშავებული, რომ უცხოელი დამკვირვებლებისთვის რთულია უცებ ჩასწვდეს ამას.

***– თქვენ იყავით მომხრე პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის შესვლის?***

– დიახ, მომხრე ვიყავი, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება ნაციონალური მოძრაობის გუნდისთვის. რაოდენ ძნელიც არ უნდა იყოს, ამ ვითარებაში ემოციას გადააბიჯო, მე მაინც მომხრე ვიყავი, რომ პარლამენტის ტრიბუნა არ უნდა დაგვეკარგა.

***– 2008 წელს გაერთიანებულმა ოპოზიციამ მანდატები დაჭრა და უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე, რაც ძალიან არ მოსწონებია მაშინ ხელისუფლებას. ფიქრობთ, რომ ბოიკოტი არის თვითიზოლაცია, თვითლიკვიდაცია პოლიტიკური ძალისთვის?***

– ვითარებასაც გააჩნია. რაღაც ვითარებაში შეიძლება სულაც არ იყოს თვითლიკვიდაცია და თვითიზოლაცია, მაგრამ ამ ვითარებაში, რომელიც 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად მივიღეთ, იმ დასკვნის საფუძველზე, რომელიც ეუთომ დადო, ჩვენ ეს მანდატები გვჭირდება იმისთვის, რომ რაღაცნაირად მაინც მივიღოთ მონაწილეობა ამ ქვეყნის გადარჩენაში.

***– რა ფორმით?***

– თუნდაც დეპუტატის მანდატის გამოყენებით. ნაციონალური მოძრაობა ყველა ტრიბუნას გამოიყენებს და გაახმოვანებს ყველა მნიშვნელოვან პრობლემას, რომლის წინაშეც ქვეყანა დადგება. ვიღაცისთვის შეიძლება „ტრიბუნა“ არ არის ის სიტყვა, რომელიც აღიქმება საქმის საკეთებლად და ვიღაცას ეს პრივილეგია ჰგონია, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის.

მე პირადად პარლამენტში შესვლა არ მომიწია, მაგრამ ვისაც უწევს პარლამენტში შესვლა, ის აუცილებლად უნდა შევიდეს და ეს ტრიბუნა უნდა გამოიყენოს. ვისაც სხვა მეთოდები აქვს და სხვანაირად მოქმედება შეუძლია, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ერთი მეორეს არ გამორიცხავს.

***– არის საუბრები, რომ ნაციონალური მოძრაობა რამდენიმე ჯგუფად დაიყოფა, რადგან გუნდში სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა. შეიძლება მოვლენები ამ მიმართულებით განვითარდეს?***

– აზრთა სხვადასხვაობა ზოგადად ცუდი არ არის.

***– ცხადია.***

– დიახ, როდესაც ადამიანი აზროვნებს, მას აქვს თავისი შეხედულება, აზრი და ეს კარგია. ამდენად, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, როდესაც აზროვნებს, ავლენს ამ აზრთა სხვადასხვაობას. როდესაც ვერ აზროვნებს, მაშინ ასეთი აზრთა სხვადასხვაობა არ არის. რაც შეეხება თქვენს კითხვას დაყოფასთან დაკავშირებით, მე გულწრფელად გეტყვით, რომ არ მინდა, ეს მოხდეს, რადგან ძალიან დიდი საფრთხის წინაშე ვართ. ამიტომ, მე, მაგალითად, აზრთა სხვადასხვაობიანი ერთიანობის მომხრე ვარ.

# ვახტანგ ხმალაძე: „პრეზიდენტი არჩეული უნდა იყოს არაპირდაპირი წესით“



– პრეზიდენტი არჩეული უნდა იყოს არაპირდაპირი წესით, თუმცა არა მხოლოდ პარლამენტის, არამედ ამრჩევთა კოლეგიის მიერ. ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ პრეზიდენტის პარლამენტის მიერ არჩევა შესაძლოა სახიფათო აღმოჩნდეს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ვახტანგ ხმალაძემ განუცხადა.

ხმალაძის თქმით, ის პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესის წინააღმდეგია, თუმცა არც საპარლამენტო არჩევას უჭერს მხარს.

მოქმედი დეპუტატის თქმით, თუ არჩევის წესი შეიცვლება, მნიშვნელოვანია მოხდეს რიგ ქვეყნებში არსებული მოდელის გადმოღება, სადაც პრეზიდენტის არჩევნებში, პარლამენტთან ერთად, ამრჩევთა კოლეგიაც მონაწილეობს.

ხმალაძის განცხადებითვე, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ პრეზიდენტს მხოლოდ პარლამენტი აირჩევს, მაღალია რისკი, რომ ის ერთპარტიული იქნება. დეპუტატი არასწორ მსჯელობას უწოდებს იმ შეფასებებს, სადაც არჩევის წესსა და პრეზიდენტის უფლებების შელახვას ერთმანეთთან აიგივებენ.

– პრეზიდენტის არჩევის საკითხზე მსჯელობისას, უშვებენ არსებით შეცდომებს. არჩევის წესი მეორადია, პირველადი პრეზიდენტის მოვალეობა და ფუნქციებია. სწორედ ფუნქციები განაპირობებს არჩევის წესს და არა პირიქით, – განაცხადა დეპუტატმა.

პრეზიდენტის უფლებამოსილებებს კონსტიტუცია განსაზღვრავს. თქმა იმის, რომ არჩევის წესის შეცვლით, პრეზიდენტს ართმევენ მის უფლებებს ან ხდიან უფრო ძალაუფლების მქონეს, არასწორია.

საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი არ აირჩევა პირდაპირი წესით, თუმცა არც პარლამენტის მიერ აირჩევა. სახელმწიფოთა ნაწილი პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტის, ხოლო ნაწილი ამრჩევთა კოლეგიის მიერ.

ამრჩევთა კოლეგიაში შედიან პარლამენტის წევრები და ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ არჩეული, ერთი იმდენი დელეგატი. პირდაპირი წესით არჩეულ პირს ხშირად უჩნდება გარკვეული ტიპის ამბიციები. ამან შესაძლოა შექმნას არცთუ სასურველი პოლიტიკური კრიზისი.

– ამიტომ მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი უნდა იყოს არჩეული არაპირდაპირი წესით, თუმცა არა მხოლოდ პარლამენტის, არამედ ამრჩევთა კოლეგიის მიერ. თუ პარლამენტი ირჩევს, უნდა იყოს მაღალი კვორუმით არჩეული, რათა არ იყოს ერთპარტიულად არჩეული. ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ პრეზიდენტის პარლამენტის მიერ არჩევა, შესაძლოა სახიფათო აღმოჩნდეს, – დასძინა ვახტანგ ხმალაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ნინო ბურჯანაძე: „არჩევნების მეორე ტურს ვემიჯნებით“




– წინასწარ გაყალბებულ არჩევნებს და მეორე ტურს ვემიჯნებით.

ამის შესახებ დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

ბურჯანაძე არ გამორიცხავს, რომ ბოიკოტის რეჟიმში გადავიდეს და მის ამომრჩეველს მეორე ტურში საკუთარი არჩევანის დაუფიქსირებლობისკენ მოუწოდოს.

მისივე თქმით, მმართველმა პარტიამ ყველაფერი გააკეთა, რათა ამომრჩეველს მხოლოდ ორს შორის გაეკეთებინა არჩევანი.

– ზუსტად იმიტომ გადაარჩინა ნაციონალური მოძრაობა ბიძინა ივანიშვილმა, ზუსტად იმიტომ იყო გართული კოჰაბიტაციაში ნაციონალურ მოძრაობასთან, რომ დასმულიყო კითხვა და ადამიანები აღმოჩენილიყვნენ ასეთი არჩევანის წინაშე – „ქართული ოცნება“ თუ ნაციონალური მოძრაობა.

როდესაც ჩვენ წინასაარჩევნო კამპანიას ვატარებდით, მქონდა ასეთი სლოგანი – არც „ქართული ოცნება“, არც ნაციონალური მოძრაობა, შემოხაზეთ მესამე-მეთქი.

მესამე რომ შემოხაზულიყო, ჩვენ უმრავლესობით ვერ მოვიდოდით, მაგრამ დღეს ქვეყანა არ იქნებოდა იმის საფრთხის წინაშე, რომ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი ჩამოყალიბდებოდა.

დღესაც ვამბობ – არც „ქართული ოცნება“ და არც ნაციონალური მოძრაობა, – განაცხადა დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ეროვნული ფორუმი ნაციონალებთან უმრავლესობის შექმნას არასდროს აპირებდა“

## ანი მიროტაძე: „ერთადერთი ძალა, რომელთანაც ყოფილი ხელისუფლება თანამშრომლობს, „ქართული ოცნებაა“

შორენა მარსაგიშვილი

აპირებდნენ თუ არა ნაციონალებთან ერთად ახალი უმრავლესობის შექმნას, რატომ მიაჩნიათ პროდასავლური ძალების გაერთიანება აუცილებლად, რის გაკეთებას აპირებენ პარლამენტს მიღმა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი **ანი მიროტაძე** ესაუბრება.

***– ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გია ბარამიძე აცხადებს, რომ ისინი თავისუფალ დემოკრატებთან და ეროვნულ ფორუმთან ერთად აპირებდნენ ახალი უმრავლესობის შექმნას. მართლა იყო ამის მცდელობა?***

– ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებაც კი არ ყოფილა. ეტყობა, გია ბარამიძემ ეს რომელიღაცა სიზმარში ნახა და იმას ყვება. ამ განცხადებაზე სერიოზულად კომენტარის გაკეთებაც კი მიჭირს.

ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ნაციონალურ მოძრაობას არც ადრე განვიხილავდით პარტნიორად, არც ახლა განვიხილავთ და არც მომავალში არ დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში.

***– ამბობთ, რომ ბარამიძის განცხადება არის ტყუილი, რაში დასჭირდა მას ასეთი ტყუილის თქმა, თუ ასეთი რამე არ მომხდარა, თქვენ ხომ მოახდენდით ამის უარყოფას.***

– წინ არის არჩევნების მეორე ტური. ახლა ნაციონალებისთვის თითოეული ხმა არის მნიშვნელოვანი და შესაძლოა, ამ განცხადებით ჩვენი პარტიის მხარდამჭერების გულის მოგება უნდოდათ. ეს არის და ეს, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეროვნული ფორუმი ნაციონალურ მოძრაობას პარტნიორად არასდროს განიხილავს. ერთადერთი ძალა, რომელთანაც ნაციონალურ მოძრაობას თანამშრომლობა შეუძლია, არის „ქართული ოცნება“. ამ ორ პარტიას ძალიან მოსწონს ერთმანეთი და როგორც აქამდე თანამშრომლობდნენ, მომავალშიც ასევე გააგრძელებენ.

***– თანამშრომლობაში რას გულისხმობთ?***

– „ოცნებამ“ ნაციონალური მოძრაობა მთავარ ოპოზიციურ ძალად აღიარა. ამ სქემამ ამ არჩევნებზეც კარგად იმუშავა. ეროვნულ ფორუმს კი ნაციონალებთან არანაირი კონტაქტი არ გვქონია. პარლამენტში ჩვენთან ახლოს ისხდნენ და მხოლოდ ვესალმებოდით ერთმანეთს.

***– ამბობთ, არანაირი კონტაქტი არ გვქონიაო და იქნება ლიდერებთან ჰქონდათ შესაძლო გაერთიანებაზე საუბარი?***

– გამორიცხულია, ასეთი რამე ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით პარტიის ლიდერმა კახა შარტავამაც გააკეთა კომენტარი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არც ერთ ჩვენგანს ნაციონალებთან თანამშრომლობა აზრადაც კი არ გაუვლია. რაც შეეხება ნაციონალებს, ისინი შესაძლოა ამაზე ძალიან ბევრსაც ფიქრობდნენ, მაგრამ ჩვენ მათი აზრების და იდეების შემოწმებით არასდროს ვყოფილვართ დაკავებული.

მე მესმის, რომ მეორე ტურის წინ რაღაც-რაღაცები აერიათ ნაციონალებს თავში, მაგრამ არც ასეთი რამეების დაბრალება შეიძლება. მათი მთავარი პარტნიორი არის „ქართული ოცნება“ და მასთან გააგრძელონ კონსულტაციები. ისინი აქამდეც თანხმდებოდნენ რაღაცებზე და მომავალშიც შეთანხმდებიან – ამბავი ანგელოზი „ოცნების“ და დემონი ნაცმოძრაობის შესახებ გრძელდება. ჩვენ მათთან არაფერი გვესაქმება, საარჩევნო ციკლი დავასრულეთ და ახლა ახალ ეტაპზე გადავდივართ.

***– რას აპირებთ? აიღებთ პოლიტიკურ ტაიმ-აუტს თუ თვითმმართველობის არჩევნებისთვის მოემზადებით?***

– არავითარი ტაიმ-აუტი არ იქნება. მართალია, ჩვენ პარლამენტს მიღმა დავრჩით, მაგრამ ამის გამო ამომრჩეველზე არ გავბრაზებულვართ. ეროვნული ფორუმი ხალხის გადაწყვეტილებას პატივს სცემს. „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების შემდეგ საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღო. არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ეს ხელისუფლება რეჟიმად ჩამოყალიბდეს. ამას ეროვნული ფორუმი ყველანაირად შეუშლის ხელს. პარლამენტს მიღმა დარჩენა არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკურ ბრძოლაზე უარი უნდა თქვა.



არჩევნების შემდეგ რამდენიმე პარტია დაიშალა, ზოგი აქამდე ვერ გამოდის შოკიდან. ჩვენ ვთვლით, რომ ეს დიდი ტრაგედია არ არის. პოლიტიკაში როცა მოდიხარ, უნდა იცოდე, რომ ხან მოიგებ, ხან წააგებ. დაშლას ჯობია დაჯდე და ცივი გონებით გაანალიზო, თუ რა შეცდომა დაუშვი.

***– თქვენი პარტიის ლიდერმა კახა შარტავამ პროდასავლურ ძალებს გაერთიანებისკენ მოუწოდა. ამაზე პარტიებს არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდათ. მათი რეაქციებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მოხდება ასეთი გაერთიანება?***

– ჩვენი აზრით, არსებულ სიტუაციაში ეს არის საუკეთესო გამოსავალი. ჯერ ემოციურად ისევ ცხელი პერიოდია და იმ განცხადებებიდან, რაც გაკეთდა, დასკვნის გამოტანა ნაადრევია. ზოგი აგონიიდან არ არის გამოსული, ზოგს დამატებითი დრო სჭირდება მოსაფიქრებლად, ზოგმაც რაღაცები უნდა გადააფასოს.

მართალია, ეროვნული ფორუმი ვთვლით, რომ ჩვენი იდეაა საუკეთესო გამოსავალი, მაგრამ მზად ვართ, სხვების აზრიც მოვისმინოთ. ვინმეს უკეთესი იდეა თუ გაუჩნდება, მზად ვართ, გავიზიაროთ.

ჩვენთვის ახალი პოლიტიკური ეტაპი უკვე დაიწყო, პარლამენტს მიღმა დარჩენა ხელების ჩამოშვებას არ ნიშნავს და არც ჩვენ ვჩერდებით. იგივე უნდა გააკეთოს ყველა იმ პარტიამ, რომელსაც პასუხისმგებლობა გააჩნია. ახლა ყველამ უნდა ვიაქტიუროთ.

***– ზემოთ თქვით, რომ შეცდომების გაანალიზება უნდა მოხდეს. თქვენი აზრით, რა გახდა თქვენი დამარცხების მიზეზი?***

– ჩვენ პირველ რიგში არსებულმა სისტემამ დაგვამარცხა. ამ სისტემის შედეგად ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ჩაიგდო ხელში აბსოლუტური ძალაუფლება და ახლა არსებობს სერიოზული ხიფათი იმისა, რომ ის რეჟიმად გადაიქცეს.

***– ამას უკვე მეორედ ამბობთ.***

– კიდევ ბევრჯერ მომიწევს ამის თქმა. საზოგადოებამაც და პარტიებმაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ასეთი რამე არ მოხდეს. არადა ამის რისკი ძალიან მაღალია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ 4 წელი მათთან ერთად ვიყავი და ვიცი, როგორც მიიღებოდა გადაწყვეტილებები.

2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტში „ქართული ოცნება“ კოალიციის სახით იყო წარმოდგენილი და კოალიციაში შემავალ ძალებს პირდაპირ ვერ სთხოვდნენ, ამა თუ იმ გადაწყვეტილებისთვის დაეჭირათ მხარი. ახლა ბევრად მარტივადაა საქმე, „ქართული ოცნება“ მარტოა, მას აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა და ნებისმიერი გადაწყვეტილება ერთ საათში იქნება აღსრულებული.

იმედი მაქვს, „ქართული ოცნება“ აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომლის წინაშეც აღმოჩნდა. მეჩვენება, რომ ისინი ცოტა დაბნეულები არიან. ალბათ აცნობიერებენ, რომ ხალხის იმედგაცრუება კარგად არ დასრულდება. იმედგაცრუებამდე კი ერთი ნაბიჯია მხოლოდ.

ჩვენ დემოკრატიულ ქვეყნის აშენებაზე გვაქვს პრეტენზია და ამ დროს ერთპარტიულ პარლამენტს ვირჩევთ, ეს ცოტა ძნელი გასაგებია. კარგი იქნებოდა, პარლამენტში რამდენიმე პარტია შესულიყო. ეს შედეგი არსებული სისტემის და ფულის კომპონენტის გამო დადგა.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩვენ ხალხის არჩევანს პატივს ვცემთ, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის წყალობით აქ რეჟიმი მივიღოთ. ვერ ვიტყვი, რომ პარლამენტის გადაწყვეტილებებზე რაიმე გავლენას მოვახდენთ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პროცესები დემოკრატიული ჩარჩოებიდან არ ამოვარდეს. ამაში პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება ერთად უნდა დავდგეთ. ბრძოლა გრძელდება და წინ კიდევ არის არჩევნები.

# სამხედრო ძალების რაოდენობა 2017 წლისათვის არა უმეტეს 37.000 კაცით განისაზღვრება




პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობის შესახებ ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება წარუდგინა.

საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, სამხედრო ძალების რაოდენობა 2017 წლისათვის არა უმეტეს 37.000 კაცით განისაზღვრება.

აღნიშნული რიცხოვნობით არაფერი იცვლება, რადგან როგორც მიმდინარე წელს, ასევე გასულ წლებში სამხედრო ძალების რაოდენობა არა უმეტეს 37.000 კაცით არის განსაზღვრული.

შეიარაღებული ძალების რიცხოვნობას საბოლოოდ პარლამენტი დაამტკიცებს.

**ინტერპრესნიუსი**

# ეკა ბესელია: „ჩვენს დღის წესრიგში ახალი პრემიერ-მინისტრის ძებნა არ დგას“



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია უარყოფს ინფორმაციას, რომლის მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი, შესაძლოა გიორგი კვირიკაშვილმა დაიკავოს.

როგორც ბესელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მათ ახალი პრემიერ-მინისტრის ძებნა დღის წესრიგში არ აქვთ.

– გიორგი კვირიკაშვილი არის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც საუკეთესო სტარტი აიღო და გუნდის გაძღოლა წარმატებით დაიწყო. დღის წესრიგში ახალი პრემიერ-მინისტრის ძებნა არ გვაქვს.

ჩვენთვის გიორგი კვირიკაშვილი ის საუკეთესო პრემიერია, რომელსაც შეუძლია გუნდისა და მთავრობის ხელმძღვანელობა დღევანდელი გამოწვევების გათვალისწინებით იტვირთოს, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკა ბესელიამ.

მისივე განმარტებით, მინისტრთა კაბინეტის თაობაზე გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრი მიიღებს, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურაზე მსჯელობა არჩევნების მეორე ტურის შემდეგ გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

# გია ლორთქიფანიძემ საქართველოში ჩამოსვლა გადაიფიქრა



შს მინისტრის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე საქართველოში არ ჩამოვიდა.

უკრაინის შსს-ს ოდესის ოლქის პოლიციის უფროსი საქართველოში ჩამოსვლას 15 ოქტომბერს გეგმავდა, თუმცა მან საქართველოში დაბრუნება გადაიფიქრა.

როგორც ინტერპრესნიუსს ლორთქიფანიძის ადვოკატმა გიორგი გელხაურმა განუცხადა, ლორთქიფანიძემ საქართველოში დაბრუნება იმის გამო გადაიფიქრა, რომ პროკურატურამ და სასამართლომ მისი გამოძიებასთან თანამშრომლობის გარემოება არ გაითვალისწინეს და წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდეს.

– მთელი რიგი მიზეზების გამო აღარ აპირებს ჩამოსვლას. ის თანამშრომლობდა გამოძიებასთან და მზად იყო, ეთანამშრომლა დღესაც, თუმცა, ამის მიუხედავად, ეს გარემოება არ გაითვალისწინეს, დაუსწრებლად წაუყენეს ბრალი და შეუფარდეს პატიმრობა.

აქედან გამომდინარე, გია ლორთქიფანიძე თავისი ინტერესების დაცვას უკრაინიდან გააგრძელებს და მისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრებას სტრასბურის სასამართლოში აპირებს, – განაცხადა გელხაურმა.

რაც შეეხება ოდესის პოლიციის უფროსის დისტანციური წესით დაკითხვის შესაძლებლობას, როგორც ადვოკატი აღნიშნავს, გია ლორთქიფანიძე დღესაც მზადაა ჩვენების მიცემისთვის თუ გამოძიებას ამის საჭიროება აქვს.

შს მინისტრის ყოფილ მოადგილე გია ლორთქიფანიძეს ბრალი 2011 წლის 26 მაისის საქმეზე აქვს წაყენებული. მას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა.

სასამართლო პროცესზე, რომელზეც მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელეს, გია ლორთქიფანიძის ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მთავარი პროკურორის მიმართ გამოგზავნილი ლორთქიფანიძის წერილები წაიკითხა, სადაც ის აცხადებდა, რომ 15 ოქტომბერს მის ამჟამინდელ სამსახურში შვებულებას იღებდა და ამავე დღეს აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას.

ადვოკატმა სასამართლოს მტკიცებულების სახით ლორთქიფანიძის მიერ შეძენილი თვითმფრინავის ბილეთიც წარუდგინა.

**ინტერპრესნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოფიო ხორგუანი: „ოპოზიცია შეიძლება „ოცნების" წიაღში გაჩნდეს"

ნონა ცაბაძე

საშიშია თუ არა „ქართული ოცნებისთვის" საკონსტიტუციო უმრავლესობა? რა მოლოდინები არსებობს მეორე ტურთან დაკავშირებით? რა პროცესები მიმდინარეობს ოპოზიციაში? მიდის თუ არა ირაკლი ალასანია გიორგი მარგველაშვილის გუნდში? – „ახალი თაობის" ამ და სხვა კითხვებს ანალიტიკოსი **სოფიო ხორგუანი** პასუხობს.

***– სოფიო, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტური წინ არის, ყველა საუბრობს იმის თაობაზე, რომ „ოცნებას" საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება. რამდენად სახიფათოა ეს?***

– პრაქტიკულად ყველგან მოიგებს ის მაჟორიტარობის კანდიდატი, რომელიც წარადგინა „ქართულმა ოცნებამ". ამიტომ მე თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ „ქართულ ოცნებას" აუცილებლად ექნება საკონსტიტუციო უმრავლესობა, ვინ როგორი განცხადებებიც არ უნდა აკეთოს.

***– რას გულისხმობთ?***

– თუნდაც იმ პოლიტიკოსებს, ვინც დღეს პარლამენტს მიღმა დარჩნენ და გამოდიან მოწოდებით, არ მისცენ ხმა „ქართულ ოცნებას". ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამომრჩეველი, რომელმაც პირველ ტურში „ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატს მისცა ხმა, თავის გადაწყვეტილებას შეცვლის. პროგნოზით თავიდანვე ჩანდა, რომ „ქართული ოცნება" საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებდა.

***– რამდენად სახიფათო იქნება ეს?***

– დემოკრატიული სახელმწიფოები უშვებენ ასეთ ფაქტებს. ასე არ შეიძლება. მაშინ სისტემა შევცვალოთ და პირდაპირ ჩავწეროთ, რომ დაუშვებელია ჩვენი საარჩევნო კანონმდებლობით, ვინმეს ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა. ეს არასწორია!

***– მაშინ რატომ არის საუბარი, რომ ნებისმიერი პარტიის საკონსტიტუციო უმრავლესობა ქვეყნისთვის სახიფათოა?***

– ეს დაბალი კლასის მაჩვენებელია! პროფესიონალების ნაკლებობაა სამოქალაქო სექტორში. ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს სამოქალაქო სექტორს არ აქვს პოპულარობა, არა აქვს ავტორიტეტი!



ხელისუფლებას თუ ექნება საკონსტიტუციო უმრავლესობა, მას ექნება ძალაუფლება და მას სჭირდება ძლიერი სამოქალაქო სექტორი, რომელსაც გავლენა ექნება ხელისუფლებაზე, თუ ის პროფესიონალი და ობიექტური არ არის, ვერც ამ გავლენას მოიპოვებს.

დღეს რა განცხადებებიც გვესმის, სამოქალაქო სექტორიდან, ძალიან ლოგიკური და მარტივად გასაგებია ყველაფერი. ავტორიტეტს ნამდვილად ვერ მოიპოვებ ერთი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული განცხადებებით. ჩვენი საზოგადოება იზრდება და იმედია ამაში სამოქალაქო საზოგადოებაც წამოგვყვება. ყველამ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ვიკისროთ. მოქალაქეობა არ არის მხოლოდ უფლება. მოქალაქეობა არის პასუხისმგებლობა.

***– როგორ აფასებთ იმას, რაც ოპოზიციურ ფლანგზე ხდება? პარტიები იშლება. ირაკლი ალასანიას პარტიის ნაწილი ხელისუფლებასთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს და საუბარია, რომ თავად ალასანია პრეზიდენტის გუნდში მიდის.***

– ალასანიამ თქვა, დროებით პოლიტიკიდან მივდივარო და თუ პრეზიდენტის გუნდში მიდის, როგორ მიდის პოლიტიკიდან?!

***– ირინა იმერლიშვილის ადგილს სთავაზობენო...***

– უშიშროების საბჭოს მდივნობა პოლიტიკაში აქტიურ ყოფნას ნიშნავს. მან კი გვითხრა, მივდივარო და მოგვატყუა?! იმედი მაქვს, ასე პირდაპირ არ გვატყუებენ, კვირაში ერთხელ. ეს ჩემთვის ძალიან უცნაური ამბავი იქნება.

დღეს მთლიანად თავისუფალია პოლიტიკური ველი და არის შესაძლებლობა, გამოჩნდნენ ახალი მოთამაშეები. თავისუფლებაა დიდი. მოქალაქეებში მოთხოვნა დიდია და უკეთეს ოპოზიციას ითხოვს საზოგადოება. უფრო მაღალი ხარისხი გვინდა!

***– ანუ ამ ოპოზიციურმა პარტიებმა გამოწვევებს ვერ გაუძლეს?***

– ცხადია, ვერ გაუძლეს. ტაქტიკურ შეცდომებს უშვებენ.

***– ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებზე რას ფიქრობთ? საუბარია, რომ მიდის მიხეილ სააკაშვილის ჩანაცვლების მცდელობა.***

– მე მგონია, რომ ცდილობენ გადარჩენას. მათთვის გადარჩენა ნიშნავს, რომ დარჩნენ პოლიტიკაში. იტივტივონ იმ სივრცეში. გადარჩენისთვის როგორი სტრატეგია აირჩიონ, განსხვავებული ხედვები აქვს ლიდერებს. 9 წლის განმავლობაში რომ მწყობრად ორგანიზებულები იყვნენ, სწორედ ამის დამსახურებაა, რომ ამდენი ხმა მიიღეს. კარგი პარტია რომ ყოფილიყო, ალბათ უკეთესი შედეგი ექნებოდათ. ცდილობენ გადარჩენას, მაგრამ ვერ თანხმდებიან სტრატეგიაში. მაინც ვფიქრობ, რომ უმჯობესია, ახალი ძალები გამოჩნდნენ.

***– მერე და სად არის ეს ახალი ძალები?***

– სხვათა შორის, არც იმას გამოვრიცხავ, რომ თავად „ოცნების" შიგნით აღმოჩნდნენ ახალი ძალები, რაღაც ახალი ჯგუფები შეიქმნას.

***– ასე რატომ ფიქრობთ?***

– ეს უკვე ჩანს, რადგან ძალიან შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას არ ტოვებენ. შეიძლება შიგნით რამდენიმე ბირთვი შეიქმნას. ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე ჩანს. ასევე ძალიან მალე გვექნება შემდეგი არჩევნები, ერთი წლის შემდეგ. ეს ერთი წელი ძალიან ცხელი იქნება და დახუნძლული იქნება ახალი გადაჯგუფებებით. წინ ძალიან ცხელი და საინტერესო ერთი წელი გველის.

# პაატა ჯიბლაძე: „დემოკრატიის ვითომ გადარჩენაზე ნაცმოძრაობის სატელიტები ტეხენ ხმაურს"

## „პოლიტიკური ველი არ დაცარიელებულა"

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა" არჩევნების პირველი ტურის შემდეგ შექმნილ სიტუაციაზე მემარცხენე ალიანსის პოლიტიკურ მდივან **პაატა ჯიბლაძეს**ესაუბრა

***– მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის წინ პარტიების ნაწილი აპირებს, ნაცმოძრაობის კანდიდატების მხარდასაჭერად გაერთიანდეს. ამას ისინი დემოკრატიის გადასარჩენად მიმდინარე ბრძოლას უკავშირებენ..***

– დემოკრატიისთვის, ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა აქ არაფერ შუაშია. საუბარია გარკვეული პარტიების ანგარიშვალდებულებაზე. ხდება სატელიტების დარაზმვა თავიანთი ბატონის გარშემო. ნაციონალური მოძრაობა აფინანსებს თავის სატელიტებს. ახლა მათი მოქმედებები არჩევნების მეორე ტურში უნდა გამოჩნდეს.




***– საუბარია იმაზე, რომ თუ „ქართული ოცნების" კანდიდატები მეორე ტურში დამარცხდებიან, მმართველ პარტიას აღარ ექნება დემოკრატიისთვის სახიფათო საკონსტიტუციო უმრავლესობა..***

– პარტიებს, რომლებიც ნაცმოძრაობას და მის კანდიდატებს უჭერენ მხარს, არც საკონსტიტუციო უმრავლესობა ადარდებთ. მათ აქვთ ვალდებულება ნაციონალური მოძრაობის წინაშე და დემოკრატიის ვითომ გადარჩენაზე ამის გამო ტეხენ ხმაურს. საკონსტიტუციო უმრავლესობა სააკაშვილის ავადსახსენებელ რეჟიმს რომ ჰქონდა, მაშინ რატომ ერთი სიტყვა არ დასცდათ ამ თემაზე? მაშინ საშიში არ იყო და ახლა გახდა?

აღარაფერს ვამბობ იმ პარტიის მხარდაჭერაზე, რომელმაც ტერიტორიები რუსეთს ჩააბარა, საკუთარი მოქალაქეები დახოცა, გაძარცვა და აწამა. სააკაშვილის მმართველობა ავტორიტარული და სისხლიანი რეჟიმი იყო. მეორე ტურში სააკაშვილის პარტია სამარცხვინოდ დამარცხდება და მას სატელიტების შეკრება ვერ უშველის.

***– ერთპარტიული საკონსტიტუციო უმრავლესობა საშიში არაა?***

– ესაა უდიდესი პასუხისმგებლობა მმართველი პარტიისთვის. „ქართული ოცნება" ამით უდიდეს პასუხისმგებლობას კისრულობს. თუ მას რაიმე გადაცდომა ექნება, ვარსებობთ სხვა ძალები, რომლებიც ამაზე ხმას ამოვიღებთ. ნაცმოძრაობის სატელიტები იმის გამო ხმაურობენ, რომ ვალში არიან თავიანთ პატრონთან. ასეთი სატელიტები პარტიებშიც არიან და არასამთავრობო ორგანიზაციებშიც. მათ სახელმწიფოს ინტერესები ფეხებზე ჰკიდიათ და ეძებენ თემებს საპროვოკაციოდ და სახმაუროდ.

***– 8 ოქტომბრის შემდეგ გახშირდა საუბრები პოლიტიკური ველის დაცარიელებაზე.***

– ამ შეფასებას არ ვეთანხმები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პარტიიდან მმართველი გუნდი წავიდა, პარლამენტი კი არ იქნება მრავალპარტიული. ვფიქრობ, რომ მემარჯვენე ფლანგზე ბევრი ერთმანეთის მსგავსი პარტიაა. მაგალითად, თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები, ახალი მემარჯვენეები და კიდევ სხვები მემარჯვენეები არიან. ამომრჩეველს ეს აბნევს და ანაწევრებს. ცოტა ხნის წინ გაერთიანების ინიციატივით გამოვიდა ეროვნული ფორუმის ლიდერი კახა შარტავა. მისი წინადადებაც მემარჯვენეებს ეხება. მისი იდეა, ფაქტობრივად, მემარჯვენე მიმართულების პარტიების გაერთიანებისკენ მოწოდებაა. მემარცხენე ფლანგზე ადრე ლეიბორისტული პარტია იყო წამყვანი ძალა, მაგრამ შემდეგ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი გახდა სააკაშვილის სატელიტი.

***– აღნიშნეთ, რომ ნაცმოძრაობა მეორე ტურში სამარცხვინოდ წააგებს არჩევნებს. 8 ოქტომბერს მიღებული შედეგი ნაცმოძრაობისათვის სამარცხვინო სულაც არ იყო. ბევრი ამ შედეგმა გააკვირვა. სხვა პარტიებმა, ერთის გარდა, ბარიერი ვერ გადალახეთ.***

– მართლაც, საზოგადოებას გაუკვირდა, რომ პარტიამ, რომლის აკრძალვას უამრავი ადამიანი მოითხოვს, მოსალოდნელზე მეტი ხმა მიიღო. თუ პარტიის წევრებს მათ ნათესავებს და იმათ დავუმატებთ, ვინც სააკაშვილის პარტიიდან ფინანსდება, ნახევარ მილიონამდე მხარდამჭერი გასაკვირი არ უნდა იყოს. ეს ხალხი ოცნებობს ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებაზე. მათთვის მთავარი ისაა, რომ სააკაშვილის პარტიამ ისევ ძარცვოს ქვეყანა და გამოხრას მისი ბიუჯეტი.

> „საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებით „ქართული ოცნება" უდიდეს პასუხისმგებლობას კისრულობს"

ჩვენი პარტია ძალიან ახალია. ფინანსების სიმწირის გამო სრულყოფილი საარჩევნო კამპანიაც ვერ ჩავატარეთ. ამიტომ, 8 ოქტომბერს მიღებული შედეგი ჩვენთვის საგანგაშო არ არის. ამომრჩევლის 49% საერთოდ არ მივიდა არჩევნებზე. ესაა გადაუწყვეტელი ამომრჩეველი. მგონია, რომ ამ ადამიანების დიდი უმრავლესობა მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულების პარტიის მომხრე გახდება. ჩვენ ამ ორიენტაციის პარტია ვართ, თანაც წინ ვაყენებთ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

***– იმედი გაქვთ, რომ მემარცხენე ნიშაში ადგილს დაიკავებთ? „ქართული ოცნებაც" მემარცხენე-ცენტრისტულია.***

– იმედი გვაქვს, რომ დავაინტერესებთ მემარცხენე ელექტორატს. ასეთი ტიპის პარტიები ძლიერია ევროპაში. რაც შეეხება „ქართული ოცნების" მემარცხენე-ცენტრისტობას, დეკლარირებულად, მართლაც, ასეა. რამდენად არის ეს პარტია ამ იდეოლოგიის მიმდევარი საქმეში, მალე გამოჩნდება. ამას პარლამენტშიც დავინახავთ. მმართველი პარტიის სია ბევრ კითხვას აჩენს. იქ ძალიან ჭრელი ხალხია შეყვანილი. საეჭვოა, რომ ყველა ეს ადამიანი მემარცხენე-ცენტრისტი იყოს.

***– არჩევნების წინ აცხადებდით, რომ დესტაბილიზაციისთვის გამიზნული ფული ნაცმოძრაობამ უკვე დაარიგა. ეს გეგმები შეიცვლებოდა?***

– დესტაბილიზაციის კონკრეტული გეგმებიც არსებობდა და მცდელობებიც იყო. მაგალითად, გივი თარგამაძის მანქანის აფეთქება და 8 ოქტომბერს საარჩევნო უბნებზე მომხდარი პროვოკაციები ამის დამადასტურებელია. მობილიზებული იყვნენ ნაციონალების მიერ დაფინანსებული ჯგუფები. ამ შემთხვევებში არეულობის აგორება არ გამოუვიდათ. ნაცმოძრაობა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ხალხი ქუჩაში მის გამო არ გამოვა. კიდევ ერთი წაგება ამ პარტიას 30 ოქტომბერს ელის.

# ლარი ისევ გაუფასურდა



1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.3752 ლარი გახდა.

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.3752 ლარი გახდება. კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2.3537 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0215 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6103 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2.5942 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0161 ლარი შეადგინა.

# სოხუმში რუსი ტერორისტი აფეთქდა

შორენა მარსაგიშვილი





**დილის 7 საათზე მომხდარ აფეთქებას მხოლოდ რუსი ტერორისტი შეეწირა. ტელერადიოკომპანიის თანამშრომლები და დაცვა არ დაზარალებულან. მომხდარის მიუხედავად, აფხაზეთის ტელევიზიამ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა მუშაობა. აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით, გაძლიერებულია დაცვა სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.**

გუშინ, 17 ოქტომბერს, დილის 7 საათზე სოხუმში ტერორისტული აქტი მოხდა. აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის წინ აფეთქებას 35-დან 40 წლის მამაკაცი ემსხვერპლა.

თავდაპირველი ვერსიით, თავი თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა. აფხაზეთში ტერაქტები დიდ იშვიათობას არ წარმოადგენს. მარტო ექსპრეზიდენტი ანქვაბი 7-ჯერ ააფეთქეს, მაგრამ თვითმკვლელი ტერორისტები აქ არასდროს გამოჩენილან.

თვითმკვლელი ტერორისტის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო. მოგვიანებით ხელისუფლებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ტერორისტს ასაფეთქებელი მოწყობილობა აუფეთქდა.

აფხაზეთის ხელისუფლების ნაწილი მომხდარში უკრაინულ კვალს ხედავდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ აფეთქებული ამფეთქებელი რუსეთის მოქალაქე იყო. ახლა იმის დადგენა მიდის, რას ერჩოდა რუსი ტერორისტი აფხაზებს.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა, როცა აფხაზები ხელს თბილისისკენ არ იშვერენ.

დილის 7 საათზე მომხდარ აფეთქებას მხოლოდ რუსი ტერორისტი შეეწირა. ტელერადიოკომპანიის თანამშრომლები და დაცვა არ დაზარალებულან. მომხდარის მიუხედავად, აფხაზეთის ტელევიზიამ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა მუშაობა.

აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით, გაძლიერებულია დაცვა სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.

ტელერადიოკომპანიის შენობასთან მომხდარ აფეთქებას სოხუმის პროკურატურა იძიებს. სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით არის აღძრული.

– ამ ეტაპზე მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები. კომენტარები მოგვიანებით გაკეთდება, – განაცხადეს სოხუმის პროკურატურაში.

კომენტარების გაკეთება დაენანათ შინაგან საქმეთა სამინისტროშიც. შს მინისტრი ასლან კობახია მხოლოდ იმას აცხადებს, რომ აფეთქების მოსაწყობად გამოყენებული იქნა 150-200 გრამი ტროტილი.

უშიშროების საბჭოს მდივანი მუხამედ კილბა თავიდანვე ფიქრობდა, რომ ტერორისტის სამიზნე არა ტელევიზია, არამედ ხალხი იყო, ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიაზე კი ყოველთვის მრავლად არის ხალხი.

აფეთქებიდან მოკლე ხანში უშიშროების საბჭოს მდივანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სამართალდამცავებს საკმაოდ აქვთ იმის მტკიცებულება, რომ ტერორისტის ვინაობა დაადგინონ. ეს პირობა კილბამ საღამოსთვის შეასრულა.



მუხამედ კილბა

თვითმკვლელი ტერორისტის შესახებ გავრცელებულ ვერსიას თავიდანვე კატეგორიულად არ ეთანხმებოდა ცნობილი აფხაზი ჟურნალისტი ინალ ხაშიგი.

– იმ ინფორმაციიდან გამომდინარე, რაც მე მაქვს და რაც შემთხვევის ადგილზე საკუთარი თვალით ვიხილე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პირი, რომელმაც აფეთქება მოაწყო, სულაც არ იყო შაჰიდი, – აღნიშნავს ინალ ხაშიგი.

ის ვარაუდობს, რომ ტერორისტი შემთხვევით აფეთქდა.

– საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მას ასაფეთქებელი მოწყობილობა მაშინ აუფეთქდა, როცა ის საბრძოლო მზადყოფნაში მოჰყავდა. აფეთქება იმაზე ადრე მოხდა, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო, – მიიჩნევს ჟურნალისტი.

ინალ ხაშიგს იმაშიც ეპარება ეჭვი, რომ ტერორისტის სამიზნე ტელევიზიის შენობა იყო.

– არა მგონია, სამიზნე ტელევიზიის შენობა ყოფილიყო. ადგილი, სადაც მისი ცხედარი აღმოაჩინეს, შენობიდან საკმაოდ მოშორებით არის. ის, სავარაუდოდ, სხვა ადგილზე აპირებდა აფეთქების მოწყობას. იმ ტერიტორიაზე ასაფეთქებელი მოწყობილობა მოჰყავდა მზადყოფნაში, – ვარაუდობს ხაშიგი.

მას უჭირს იმის თქმა, კონკრეტულად რა ობიექტის აფეთქება სურდა აფეთქებულს. არ გამორიცხავს, რომ ტერორისტის სამიზნე საავტომობილო გზა ყოფილიყო.

– ტელევიზიის სიახლოვეს არის კორპუსები, სამთავრობო დაწესებულებები, სკოლები, ოფისები. არაა გამორიცხული, რომ მას აფეთქების მოწყობა საავტომობილო გზაზე სურდა. ამ ტერიტორიაზე გადის გზა, რომელიც წითელ ხიდს ქალაქის ცენტრთან აკავშირებს. აქ მნიშვნელოვანი პერსონები მოძრაობენ, მათ შორის პრეზიდენტიც, – ამბობს ჟურნალისტი.

აფხაზეთის ყოფილი შს მინისტრი რაულ ლოლუა, რომელიც რაღაც დროის მანძილზე ანტიტერორისტულ ცენტრს ხელმძღვანელობდა, აცხადებს, რომ აფეთქება არაპროფესიონალმა მოაწყო. მისი ვარაუდით, აფეთქების მიზანი ადამიანებისთვის ზიანის მიყენება იყო.

მან მომხდართან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ვერსია განავითარა. რაულ ლოლუა არ გამორიცხავს, რომ სოხუმში მომხდარი ტერორისტული აქტის უკან უკრაინელები დგანან.

სოხუმში მომხდარ აფეთქებას ის დონეცკში განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით ცნობილი რუსი სეპარატისტის, არსენ პავლოვის, მეტსახელად მოტოროლას მკვლელობას უკავშირებს.

– შესაძლოა, არის რაღაც კავშირი. მოტოროლასთან ერთად აფხაზეთის ერთი მოქალაქე მოკლეს, მე როგორც გავიგე. შესაძლებელია, სოხუმში 17 ოქტომბერს მომხდარი აფეთქებით, გარკვეულ ძალებს იმის ჩვენება უნდათ, რომ მათთვის აფხაზეთში ნებისმიერი ხელმისაწვდომია, – ამბობს ლოლუა.

მოტოროლასთან აფეთქებული აფხაზის გარდა დონეცკში და ლუგანსკში კიდევ ბევრი აფხაზი იბრძვის. არცთუ შორეულ წარსულში აფხაზური ტელევიზია დიდი სიამაყით ატრიალებდა კადრებს, თუ როგორ უტევდა ბატალიონი „აბაზა“ დონეცკის აეროპორტს. აღნიშნული ბატალიონი აფხაზებით არის დაკომპლექტებული.

თუ დადგინდა, რომ ეს ტერაქტი მართლა უკრაინელებმა მოაწყეს, მაშინ წესით ცხინვალიც უნდა ძრწოდეს. დონეცკსა და ლუგანსკში ცხინვალელი ბოევიკებიც სერიოზულად არიან წარმოდგენილი.

* * *

დღის ბოლოსთვის აფხაზებმა ამფეთქებლის ვინაობაც დაადგინეს და ტერაქტის ახალ ვერსიაზეც ალაპარაკდნენ. გაირკვა, რომ აფეთქება არა უკრაინელებმა, არამედ რუსეთის მოქალაქემ მოაწყო.

უშიშროების საბჭოს მდივანმა მუხამედ კილბამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ტერაქტი ერთ-ერთი აფხაზი პოლიტიკოსის წინააღმდეგ იყო მიმართული.

რაც შეეხება ტერორისტს, ის რუსეთის მოქალაქეა და კრასნოდარის მხარეში ცხოვრობდა. რაღაც პერიოდში ის როსტოვის ოლქშიც იყო დარეგისტრირებული.

– ეს ადამიანი აფხაზეთში კონკრეტული მიზნით ჩამოვიდა. მას ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე უნდა აეფეთქებინა, – აღნიშნავს აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი.

მისი თქმით, ტერაქტის მომწყობის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას აფხაზი სამართალდამცავები რამდენიმე დღეში გაავრცელებენ.

– ეს ადამიანი აფხაზეთში მეორედ ჩამოვიდა. პირველად ის აქ ზაფხულში იმყოფებოდა. მეორედ მან აფხაზეთის საზღვარი მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს გადმოლახა. 2 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით ის აქ ცხოვრობდა, – ამბობს კილბა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს იმ პირთა დადგენა, ვისთანაც ტერაქტის მომწყობს კავშირი ჰქონდა.

– დადგინდება ყველა იმ პირის ვინაობა, ვისთანაც ის შეხებაში იყო. ასევე ვამოწმებთ მის კავშირებს რუსეთში. ამაში ჩვენი რუსი კოლეგები დაგვეხმარებიან. არ არის გამორიცხული, რომ ის ამგვარ საქმეებს რუსეთშიც სჩადიოდა, – აღნიშნავს უშიშროების საბჭოს მდივანი.

მუხამედ კილბა არ გამორიცხავს, რომ კრასნოდარელ ტერორისტს აფხაზეთში თანამოაზრეები ჰყავდეს.

# ბათუმში 5 თვის გოგონა დაიღუპა, მისი ძმები კი საავადმყოფოში არიან მოთავსებული

ბათუმში 5 თვის გოგონა დაიღუპა, ხოლო მისი 6 წლისა და წლინახევრის ძმები ბავშვთა საავადმყოფოში არიან მოთავსებული.

სამივე და-ძმა სასუნთქი გზების პრობლემებით საავადმყოფოში სოციალური აგენტის მოთხოვნით მოხვდა. სოციალური აგენტი ოჯახში დეკლარაციის შესავსებად მივიდა.

ბავშვების ოჯახი ჯერ კახეთში ცხოვრობდა, შემდეგ გურიაში, ბოლოს კი ბათუმის მიმდებარედ ჩაქვში ნაქირავებ ბინაში დასახლდა. ოჯახი სოციალურად დაუცველთა ბაზაში წლების განმავლობაში იყო და სახელმწიფოსგან დახმარებას იღებდა.

5 თვის გოგონას გარდაცვალებასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია დასახელდა. ერთის მიხედვით, მცირეწლოვანს ვერ მიეწოდებოდა საკვები, მეორე ვერსიით, ბავშვზე არასათანადოდ ზრუნავდნენ, მესამე ვერსიით კი გარდაცვალება ბავშვის თანდაყოლილ პათოლოგიებს უკავშირდება.

როგორც აჭარის სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსი თემურ ქარცივაძე განმარტავს, მათ ოჯახის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ იქედან გამომდინარე, რომ ისინი გურიაში ცხოვრობდნენ.

მისივე თქმით, ბავშვის გარდაცვალება უკავშირდება თანდაყოლილ პათოლოგიებს. რაც შეეხება ორ მცირეწლოვან ბავშვს, რომლებიც საავადმყოფოში არიან მოთავსებული, მათზე მზრუნველობა შესაძლოა სახელმწიფომ აიღოს.

– ბავშვს დაბადებისთანავე ჰქონდა თანდაყოლილი პათოლოგიები. 5 თვიდან 3 თვე და 20 დღე თბილისის, ქუთაისის და ბათუმის სხვადასხვა კლინიკაში მკურნალობდა. ბათუმში ბავშვი მოხვდა ჩაქვიდან იმდენად, რამდენადაც, ბათუმის სოციალური სამსახურის აგენტი დეკლარაციის შესავსებად იყო ოჯახში მისული, სადაც აღმოაჩინა, რომ სამი ბავშვი იმ წუთის მდგომარეობით ექვემდებარებოდნენ დაუყოვნებლივ მკურნალობას.



აგენტმა მაშინვე გამოიძახა სასწრაფო დახმარების ბრიგადა და ბავშვები მოთავსდნენ ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრში. სამდღიანი მკურნალობის შემდეგ ბავშვი სამწუხაროდ გარდაიცვალა.

შიმშილი, რა თქმა უნდა, არ გამხდარა გარდაცვალების მიზეზი, იმდენად, რამდენად ბავშვმა სიცოცხლის უმეტესი დრო საავადმყოფოებში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გაატარა.

რაც შეეხება ოჯახს, ეს ოჯახი საკმაოდ ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. ბოლოს გურიაში, სუფსაში ცხოვრობდა და სახელმწიფოს მხრიდან როგორც სოციალურ დახმარებას, ასევე სხვა ბენეფიტებს იღებდა. ოჯახს მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან გაღებული თანხა აძლევდა საშუალებას, რომ ბავშვებისთვის ნორმალური ზედამხედველობა გაეწია.

მოკვლევის შედეგად, მშობლებთან შეთანხმებით, თუ საჭირო გახდება, აღზრდის ალტერნატიული ფორმები შეიძლება მოიძებნოს. როდესაც ოჯახში არ არის პირობები, რომელიც ბავშვის აღზრდას სჭირდება, სახელმწიფოს მხრიდან არის მინდობით აღზრდის შესაძლებლობა, – აღნიშნა თემურ ქარცივაძემ.

ექიმის ვახტანგ აფხაზავას თქმით კი, 5 თვის გოგონა საავადმყოფოში სუნთქვის უკმარისობით შევიდა და მკურნალობის მიუხედავად, ლეტალური შედეგი დადგა.

– პაციენტი შემოვიდა კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში 11 ოქტომბერს. შემოსვლის მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე, გამოხატული იყო სუნთქვის უკმარისობა. ხელოვნურ სუნთქვაზე გვყავდა, ჩაუტარდა ანტიშოკური თერაპია, თუმცა ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა, – აღნიშნა ვახტანგ აფხაზავამ.

საავადმყოფოში მოთავსებული ძმების მდგომარეობა სტაბილურია.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ზაზა სიორიძე: „მიკროსაფინანსოები გაჭირვებული ადამიანების მოტყუებით არიან დაკავებული“



ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე „კომერსანტი“ ბიზნესმენს და ყოფილი ბანკირ **ზაზა სიორიძეს** ესაუბრა.

***– დღეს ფინანსური ბაზრის ყველაზე დიდი მოთამაშე არის საბანკო სექტორი. ბოლო პერიოდში რამდენიმე კომერციული ბანკის გაერთიანება მოხდა. როგორ შეაფასებდით გაერთიანებას?***

– თიბისი ბანკის და ბანკი რესპუბლიკის გაერთიანებას პირადად მე, როგორც ყოფილი ბანკირი, დადებითად ვაფასებ. საერთოდ, მსხვილი ბანკები საფინანსო სექტორის სტაბილურობის მთავარი გარანტია.

***– თუმცა იგივე ბანკებთან დაკავშირებით ძალიან ბევრი პრეტენზია ისმის, განსაკუთრებით სესხებზე დაწესებულ პროცენტებზე. რამდენად მაღალია დღეს სესხზე პროცენტი?***

– დღეს ბაზარზე არსებული საბანკო პროდუქტები შედარებით ძვირია, ვიდრე ბაზრის მოთხოვნაა. შესაძლებელია, რომ განაკვეთები უფრო დაბალი იყოს. თუ დააკვირდებით, მსხვილ ბანკებს უფრო დაბალი აქვთ განაკვეთები, ვიდრე პატარა ბანკებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მაღალია.

***– კომერციული ბანკები ამის მიზეზად მაღალ რისკებს ასახელებენ.***

– ეს ცალმხრივი შეხედულებაა, რისკები არსებობს როგორც ბანკების მხრიდან, ასევე ეკონომიკაში ცალკეული ბიზნესსექტორის მხრიდან, ანუ მსესხებლის მხრიდან. ამიტომ რისკები ერთმანეთის პირისპირ დგანან. როგორც ბანკს სჭირდება ბიზნესსექტორი, ასევე ბიზნესს სჭირდება ბანკი. ამიტომ ისინი ერთმანეთს ხელს უნდა უწყობდნენ, ეს რისკები ერთმანეთს უნდა აბალანსებდნენ. განაკვეთების აწევით რისკებისგან თავს ვერ დაიცავ, პირიქით, განაკვეთების აწევით და პროდუქტების გაძვირებით შესაძლოა, რისკები გაზარდო კიდეც. ამიტომ ამას სერიოზული ანალიტიკური მუშაობა სჭირდება.

***– ლონდონის საფონდო ბირჟაზე პრემიუმ-ლისტინგში უკვე 2 ქართული ბანკია. იქ ყოფნა ნიშნავს იმას, რომ ბანკებს ხელი მიუწვდებათ იაფ ფულზე. როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგ შესაძლებელია, რომ საქართველოში ბანკების მიერ დაწესებულ სესხებზე პროცენტები შემცირდეს?***

– ლონდონის ბირჟაზე პრემიუმ-ლისტინგში გასვლა ცალსახად იმას ნიშნავს, რომ საბანკო სექტორში შემოვა იაფი ფული. თუ ეს პროცესი კარგად დაიწყო, რა თქმა უნდა, ეს გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას.

***– ხშირად ისმის კრიტიკა, რომ იგივე კომერციული ბანკები ეკონომიკის რეალურ სექტორის არ აფინანსებენ და სესხის დიდ ნაწილს მხოლოდ მომსახურების სფეროსა და ვაჭრობაზე გასცემენ. არის რეალურად ამ მიმართულებით პრობლემა?***

– კომერციული ბანკები ფულს იქ დებენ, სადაც მოთხოვნაა. მაგრამ აქ არის ერთი სერიოზული პრობლემა, ესაა არაპროფილური ბიზნესი, რომელიც ბანკებს აქვთ. ადრეც და ახლაც ვფიქრობ, რომ ბანკები უნდა იყვნენ მხოლოდ საბანკო საქმიანობით დაკავებულები და არა – სხვა ბიზნესით. ეს უფრო ხელს შეუწყობს ბანკების სწორ განვითარებას და საბანკო სექტორის კვალიფიციურად ჩამოყალიბებას. როდესაც ბანკებს სხვა, არაპროფილური ბიზნესი აქვთ, ბუნებრივია, ისინი ასეთ შემთხვევაში ფულს შვილობილ კომპანიებში დებენ და სხვა ბიზნესს ნაკლებად აფინანსებენ. ბანკი არ უნდა იყოს დომინანტი ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების, ის უნდა იყოს ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი.

***– ბანკების გამსხვილების ფონზე, ბაზარზე ერთი-მეორის მიყოლებით მრავლდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა. რამდენად სწორად ვითარდება დღეს ბაზარზე ეს სეგმენტი?***

– ძალიან მაწუხებს ის მახინჯი ფორმა, რაც დღეს არსებობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან დაკავშირებით. ისინი არ არიან რეალურად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. ასეთი ორგანიზაციები ქვეყნებში არსებობენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მცირე და საშუალოხელფასიან მოსახლეობას, მცირე და საშუალო ბიზნესს. მაგრამ დღეს საქართველოში ეს ასე არ ხდება, დღეს მიკროსაფინანსოები გაჭირვებული ადამიანების მოტყუებით არიან დაკავებულები. საქართველოში მიკროსაფინანსოები ლომბარდული წესით მუშაობენ და მათ მიმართ არანაირი რეგულაცია არ არსებობს.

***– გარკვეული რეგულაცია ნამდვილად არსებობს.***

– არსებობს, მაგრამ არაა ისეთი, როგორიც უნდა იყოს. ბევრი რამ არის შესაცვლელი ამ მიმართულებით.

საერთოდ, მიკროფინანსების ადრეული მოდელები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თითქმის 40 წლის წინ გაჩნდა და მათ ბანგლადეშელი ეკონომიკის პროფესორის, ნობელის პრემიის ლაურეატის, მუჰამედ იანუსის სახელს უკავშირებენ. მიკროსაფინანსოების მთავარი დანიშნულება უნდა იყოს ის, რომ ადამიანებმა, რომლებიც მცირე ბიზნესის დასაწყებად ბანკში სესხის მისაღებად ვერ მიდიან, ფული ამ ორგანიზაციებიდან აიღონ. ისინი ასეთი ბიზნეს-წინადადებისთვის სესხს გამარტივებული წესით უნდა გასცემდნენ.

ყველა ქვეყანაში ეს სექტორი სწორი ფორმით განვითარდა, ჩვენთან კი მათი განვითარების ფონზე რიგითი მოქალაქეები ზარალდებიან. ამიტომ, აუცილებელია, რომ კანონმდებლობით მოწესრიგდეს ეს სფერო.

სესხის გაცემისას უამრავი ისეთი პირობა აქვთ, რომელიც კაბალურ პირობებში აგდებს მოსახლეობას.

**ლონდონის ბირჟაზე პრემიუმ-ლისტინგში გასვლა იმას ნიშნავს, რომ საბანკო სექტორში შემოვა იაფი ფული. თუ ეს პროცესი კარგად დაიწყო, ეს გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას**

**კომერსანტ.გე**

# ონლაინ სესხებმა ლომბარდების ბიზნესი ჩაანაცვლეს

ბოლო 2 წელიწადში საქართველოში ონლაინსესხების გამცემი კომპანიები თვალში საცემად მომრავლდა. რადგან ამ სფეროს არავინ აკონტროლებს და მათზე არც რამე სახის რეგულაციები მოქმედებს, სესხის გაცემის პირობებსაც თავად აწესებენ და ზოგ შემთხვევაში, მათი წლიური საპროცენტო განაკვეთი 700%-საც კი აღწევს.

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, ვისაც საბანკო სესხზე ხელი არ მიუწვდება, სწრაფად და ადვილად ფულის მიღების შესაძლებლობა დიდი ცდუნებაა. ამიტომაც არის, რომ დღეს, „კრედიტინფოს“ მონაცემებით, 4 მილიონი ასეთი სესხია გაცემული – ქვეყანაში, სადაც, ბოლო აღწერის თანახმად, 3.720.000 კაცი ცხოვრობს.

ცხადია, მათ შორის მხოლოდ ნაწილია ზრდასრული და ისიც გასათვალისწინებელია, რომ 65 წელს ზემოთ მოქალაქეებზე ონლაინსესხს კომპანიების უმეტესობა არ გასცემს.

* * *

**ანი ალიბეგაშვილი, „საზოგადოება და ბანკების“ ფინანსური ანალიტიკოსი:**

– ბოლო 2 წელიწადია, ონლაინსესხების კომპანიები ძალიან გააქტიურდნენ. ძირითადად, სწრაფ სესხებს გასცემენ, რადგან ბაზარზე იყო ასეთი მოთხოვნა და გარკვეულწილად მათ ლომბარდების ბიზნესი ჩაანაცვლეს. ლომბარდებში თუ სესხის უზრუნველყოფის წარდგენაა აუცილებელი, რომლის შეფასების საფუძველზე გასცემენ მომხმარებელზე თანხას, ონლაინსაკრედიტო კომპანიებმა მცირე თანხების გაცემა ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე დაიწყეს და თანაც მოკლე ვადებში.

ანი ალიბეგაშვილის აზრით, აქ მთავარი ის არის, რომ, როგორც წესი, მომხმარებელი არ არის სრულად ინფორმირებული, რა პირობებით სთავაზობენ სწრაფ სესხს და სწორ გადაწყვეტილებასაც ვერ იღებს.

– მაგალითად, მომხმარებელთა უმეტესობა მხოლოდ იმ ერთ გარემოებას განიხილავს, რომ თუ ერთი თვის განმავლობაში ისარგებლებს ონლაინსესხით, მას საპროცენტო სარგოს გადახდა არ დაეკისრება, მაგრამ არავინ უფიქრდება, რომ თუ ერთ თვეში სესხს ვერ დაფარავს, რა ვალდებულებები დაეკისრება. არც ონლაინსესხების გამცემი ორგანიზაციები აწვდიან ინფორმაციას მომხმარებელს, რამდენია ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთი, სესხის მომსახურების, გადავადების საკომისიო და ა.შ. შესაბამისად, რაღაც დროის გასვლის შემდეგ მომხმარებელი ფინანსურ ჩიხში მოექცევა, – აცხადებს ქ-ნი ალიბეგაშვილი.

ონლაინსესხებით, ძირითადად, სარგებლობენ დაბალი ან საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეები, ვინც საკუთარი შემოსავლით ხარჯების დაფარვას ვერ ახერხებს. ძნელია მათთვის რჩევის მიცემა, რომ ასეთი სესხებით არ ისარგებლონ, თუმცა უნდა ავუხსნათ, რა რისკები ახლავს ამ ყველაფერს.



პირველ რიგში, მომხმარებელმა უნდა გათვალოს სესხის მიზნობრიობა და აუცილებლად გაითვალისწინოს ყველა ხარჯი, რომლის გადახდაც მოუწევს სესხის აღებისა და მისი დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში. შემდეგ უნდა განსაზღვროს, რამდენად უღირს დღეს კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ ფარული ხარჯის სანაცვლოდ, რაც სესხის აღების შემთხვევაში ექნება გასაწევი.

ეს არის ყველაზე მთავარი, რისი გათვალისწინებასაც აუცილებელია ახალი ფინანსური ტვირთის დამატებამდე, რადგან ხშირად ონლაინსასესხო ორგანიზაციებს ისინი მიმართავენ, ვისაც უკვე აქვს ბანკის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალი.

ამ შემთხვევაში ონლაინსესხი მათთვის ფულის სესხების დამატებით ალტერნატივას წარმოადგენს. თუ მაინც გადავწყვიტეთ ასეთი სესხით სარგებლობა, ყოველთვის ჯობია, დროულად დავფაროთ ვალდებულებები. პრობლემა თუ მაინც შეგვექმნა, საწყის ეტაპზევე მოვაგვაროთ მათთან ურთიერთობა – როცა ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციაში სესხი პრობლემური ხდება, ბანკებისგან განსხვავებით, სესხი არ გადაეცემა რისკების ან პრობლემური სესხების სამსახურს, არამედ საქმეში მესამე პირი ერთვება. ამ საქმისთვის ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციები სესხის ამომღებ კომპანიებს ქირაობენ.

– მინახავს მომხმარებელსა და ონლაინსასესხო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც პირდაპირ წერია, რომ კომპანიას უფლება აქვს, გადასცეს მესამე პირს ინფორმაცია მათი კლიენტების შესახებ. ანუ, ეს ყველაფერი ხელშეკრულებაში გაწერილია და ამიტომაც არის აუცილებელი მისი გაცნობა, სანამ ხელს მოვაწერდეთ, – ამბობს ანი ალიბეგაშვილი.

* * *

პრობლემური სესხების ამომღები კომპანიების ერთადერთი ინტერესია, რაც შეიძლება ნაკლებ დროში მეტი თანხა ამოიღონ, რადგან მათი შემოსავალი სწორედ ამოღებული თანხის სანაცვლოდ მიღებული საკომისიოა.

შესაძლოა, ბევრმა არც იცის, რომ ონლაინსესხების გამცემი ორგანიზაციები თანამშრომლობენ „კრედიტინფოსთან“.

ბოლო მონაცემებით, აქ ონლაინსესხების მოთხოვნის 4 მილიონი ჩანაწერი აღირიცხა. მათ შორის ვადაგადაცილებულია 300-დან 400 ათასამდე. მართალია, კომერციული ბანკები არ აღიარებენ, მაგრამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, სარგებლობს თუ არა ადამიანი ონლაინსესხებით.

ეს ირიბად მიანიშნებს, რომ მას კომერციული ბანკების ან სხვა ფინანსური ინსტიტუტების პროდუქტებით სარგებლობის შესაძლებლობა არა აქვს. ონლაინსესხით სარგებლობა აღიქმება ერთგვარ გამოუვალ მდგომარეობად და ბანკისთვის მაღალ რისკად.

მოკლედ, ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციის მომხმარებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მათი ვალდებულებები „კრედიტინფოში“ აღირიცხება და ამან, შესაძლოა, შემდგომში ბანკთან ურთიერთობაშიც პრობლემები შეუქმნას.

**ბიპიენი**

# საჰაერო ტაქსებზე მოთხოვნა იზრდება, მაგრამ ფასები მაღალია




საქართველოში საჰაერო ტაქსებზე მოთხოვნა იზრდება, თუმცა კონკურენციის სიმცირის გამო მომსახურების ფასები ძალიან მაღალია.

ამის შესახებ კომპანია „ეარ ჩარტერის“ დამაარსებელი ლევან გურგენიძე საუბრობს.

„ეარ ჩარტერი“ მომხმარებელს რამდენიმე სახის მომსახურებას სთავაზობს. მათ შორის, კერძო ფრენებს, ბიზნეს-ჯეტით მგზავრობას, საჰაერო ტაქსის მომსახურებას.

გურგენიძე ამბობს, რომ ტურისტული ნაკადების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტის განვითარება.

– ბოლო პერიოდში ძალიან გაიზარდა მოთხოვნა ეარ-ტაქსებით მომსახურებაზე, ზაფხულის განმავლობაში ბევრი შეკვეთა იყო, თუმცა საქართველოში ასეთი ტიპის საფრენი აპარატები ცოტაა და მოთხოვნის დაკმაყოფილება რთულია.

ჩვენი ქვეყნის რელიეფიდან გამომდინარე, საჭიროა საჰაერო ტრანსპორტის განვითარება და მხოლოდ სახმელეთო ტრანსპორტი იმისთვის, რომ უცხოელმა თუ ადგილობრივმა მარტივად შეძლოს მთათუშეთში გადაფრენა, სვანეთში ასვლა, საკმარისი არაა, – აცხადებს გურგენიძე.

მისივე თქმით, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება მოხდეს ანუ შემოვიყვანოთ ისეთი ტიპის საფრენი აპარატები, რომელთაც ნაკლები დანახარჯი აქვს. დარგი უნდა განვითარდეს, გაიზარდოს კონკურენცია და ფასები შემცირდეს.

გურგენიძე ამბობს, რომ ევროპის ქვეყნებში, ამერიკაში საჰაერო ტაქსით მომსახურება, ბიზნეს-ჯეტით მგზავრობა „ლაქშერი“ სერვისებში არ გადის და ეს ყოველდღიურობის ნაწილია, საქართველოში კი ფასები მაღალია.

მისივე თქმით, აქვთ მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასთან, ტურიზმის ადმინისტრაციასთან, რომ დარგის პოპულარიზაცია მოხდეს.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# გივი თარგამაძე: „ბორის ჩაგუნავას ჩემი მანქანის აფეთქებასთან კავშირი არ აქვს“

## გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეში ბრალდებულები ნათესავები არიან

**ნაციონალური მოძრაობის წევრის, გივი თარგამაძის, მანქანის აფეთქების საქმეში ბრალდებულებს ნათესაური კავშირი აქვთ.**



ამის შესახებ ამავე საქმეზე დაკავებულის, ბორის ჩაგუნავას, მეუღლე ნატა ჩაგუნავამ „იმედს“ განუცხადა.

როგორც ნატა ჩაგუნავამ აღნიშნა, დავით ხეჩუაშვილსა და მათ შორის არსებობს ნათესაური კავშირი და ხეჩუაშვილი ჩაგუნავების სიძეა.

მისივე თქმით, დავით ხეჩუაშვილს მისი კუთვნილი ავტომობილი ჩაგუნავებზე ჰქონდა გადაფორმებული.

რაც შეეხება საქმეში დაკავებულის მონაწილეობას, ნატა ჩაგუნავას თქმით, მისი მეუღლე რეალურად იმის გამო დააკავეს, რომ „ამ ავტომობილში თითქოს ჩხრეკის შედეგად იარაღები აღმოჩნდა“.

– რა პრობლემაა, რომ ნათესავის მანქანა გადაიფორმო? ეს ჩვეულებრივი რაღაცაა. რადგან იქ იარაღი იყო, რადგან ჩვენზეა გაფორმებული, ჩვენ მოგვაწერეს. ასე ამბობენ, რომ მანქანაში იყო იარაღი, თუმცა ჩვენ ეს არ დაგვინახავს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ მანქანით პატარები დაგვყავდა, – განუცხადა ნატა ჩაგუნავამ ტელეკომპანია „იმედს“.

ამ განცხადების შემდეგ ნატა ჩაგუნავასთან კომენტარებისთვის მედიის სხვა წარმომადგენლებიც მივიდნენ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, ნატა ჩაგუნავამ კომენტარზე უარი თქვა და ჟურნალისტებისგან თავის დასაცავად პატრული გამოიძახა.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეპუტატ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე ერთი პირი დააკავა, ერთს კი დაუსწრებლად ბრალი წარუდგინა.

ამის შესახებ გუშინ, 17 ოქტომბერს, შსს-ში გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა.

უწყების ინფორმაციით, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით დაკავებულია 1976 წელს დაბადებული ბორის ჩაგუნავა, მე-19/109 მუხლებით კი ბრალი 1974 წელს დაბადებულ დავით ხეჩუაშვილს წარედგინა.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ გივი თარგამაძის ავტომანქანის უკანა მარცხენა ფრთიდან აღებული ბიოლოგიური მასალიდან გამოყვანილი გენეტიკური პროფილი ბრალდებული დავით ხეჩუაშვილის მშობლების გენეტიკური პროფილების იდენტურია. ბრალდებული პირისა და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს, – განაცხადეს შსს-ში.

უწყებამ გუშინდელ ბრიფინგზე საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში ამოღებული ნივთების შესახებ ინფორმაციაც გაასაჯაროვა.

– მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს თბილისში მოქალაქე გივი თარგამაძის ავტომანქანის აფეთქების ფაქტზე მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, საგამოძიებო ჯგუფის მიერ თბილისის სხვადასხვა ტერიტორიაზე ერთდროულად განხორციელდა აღნიშნულ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული პირისა და მასთან კავშირში მყოფი პირების საცხოვრებელი ბინების და ავტოფარეხის ჩხრეკა.

სამართალდამცველებმა ჩხრეკის შედეგად ამოიღეს:

დაბეჭდილი ლიტერატურა, ასევე, ხელნაწერი, სადაც აღწერილია ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადების წესი; დისტანციურად ასაფეთქებელი ნივთიერების დასამზადებლად საჭირო ნივთები; დისტანციური პულტები; ელექტროსადენები და სხვადასხვა დეტალი; დაზარალებული გივი თარგამაძის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების გეგმა და ნახაზები; მოთეთრო ფერის ფხვნილი – ასაფეთქებელი ნივთიერება ჰექსოგენი; 2 მოწითალო ფერის შეკვრა – ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი; 1 მომწვანო ფერის შეკვრა – ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი; მუყაოს 3 კოლოფი, მასში არსებული სხვადასხვა ზომის ლითონის ფრაგმენტებით; „აკ-47“-ის მოდელის 1 ავტომატი მაყუჩით; „აკს-უ“-ს მოდელის 1 ავტომატი; იარაღის ოპტიკური სამიზნე მოწყობილობა; 6 ხელყუმბარა; 16 მჭიდი; 2112 ვაზნა; ლულისქვეშა სასროლის 16 ყუმბარა; 3 ფალია და სხვა, – განმარტეს შსს-ში.

* * *

თავად გივი თარგამაძე მისი მანქანის აფეთქების საქმის გამოძიებას უნდობლობას უცხადებს. როგორც ინტერპრესნიუსს თარგამაძემ განუცხადა, ის ინფორმაციები, რაც შსს-მ გაავრცელა, არაფრისმომცემია და საქმის გახსნასთან ახლოსაც კი არ დგას.

დეპუტატის თქმით, ის არც დაკავებულს და არც ქვეყნიდან წასულ ბრალდებულს არ იცნობს. თარგამაძე დარწმუნებულია, რომ დაკავებულ ბორის ჩაგუნავას მისი მანქანის აფეთქების საქმესთან კავშირი არ აქვს და ამაზე ჩაგუნავასთვის წაყენებული ბრალიც მეტყველებს.

– პრემიერმა პირველივე საათებში, სრულიად ურცხვად, ივანიშვილის თუ არ ვიცი ვისი შეკვეთის ძირითადი აქცენტები დასვა თავიდანვე, უკრაინასთან მიმართებაში. შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ აშკარად სჭირდებოდათ გახსნის გამოცხადება არჩევნებამდე. ჩაატარეს ოთხ ადგილას რაღაც წარმოდგენა სპეცრაზმელების სირბილით, რამაც მოიტანა არაფერი, გარდა იმ ინფორმაციისა, რომ ვისაც ესენი ბრალს დებენ და რატომ დებენ, ჯერჯერობით გასაგები არაა, ის აღარ იმყოფება ქვეყანაში.

ამის შემდეგ მინისტრმა დააანონსა რაღაც, დღეს კი მივიღეთ ისევ არაფერი, გარდა იმისა, რომ ადამიანი, რომელიც ნათესაურ კავშირშია მათ მიერ ბრალდებულთან და იმის გამო, რომ მანქანა მასზე იყო გაფორმებული, მხოლოდ ამის გამო დააკავეს.

მას არავითარი კავშირი არ აქვს ამ საქმესთან, ბრალიც კი წაუყენეს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაზე. აქედან გამომდინარე, ეს ადამიანი დიდი ალბათობით საერთოდ არანაირ კავშირში არაა ამ ყველაფერთან, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

როგორც ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა აღნიშნა, არ შეიძლება საქმე გახსნილად გამოცხადდეს იმ ფონზე, როდესაც რეალურ საგამოძიებო მოქმედებებს სამართალდამცველები ახლა იწყებენ.

– ორი დღის წინ მიმართეს პარტიას, კონკრეტული რიცხვის, კონკრეტული საათების კამერების ჩანაწერების ამოღების მოთხოვნით და იმ განჩინებაში, დაახლოებით 40-მდე კამერის ჩანაწერის ამოღების მოთხოვნაა კიდევ. ანუ ახლა იღებენ ამ მონაცემებს და რა გახსნაზეა საერთოდ ლაპარაკი?! – იკითხა ბ-მა თარგამაძემ.

მისი აზრით, სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი მოწყობილობები რომ წარმოადგინეს, ესეც არაფერს ნიშნავს.

– ჯერ არ უთქვამთ, ყოველ შემთხვევაში, კონკრეტულად რომელი ნივთიერების გამოყენებით, რა მექანიზმით განხორციელდა ეს ტერაქტი. ასეთი მომენტების გარეშე საქმე გახსნილად არ შეიძლება ჩაითვალოს, ახლოსაც კი არაა ეს ყველაფერი გახსნასთან და ისევ დაიწყეს თავიდან, თავხედურად ისევ იგივე ვერსიის გაცოცხლება და უკრაინის აქცენტების დასმა, რომელზეც დღეს ბატონმა ვოლსკიმ ისაუბრა, – აღნიშნა ნაციონალმა დეპუტატმა.

მისი თქმით, ბრალდებულის მამამ ეს ვერსია საბოლოოდ გაუფუჭა, როდესაც თქვა, რომ ეს კაცი ყოველთვის რუსეთში იყო და ახლაც იქ არის.

– მაგრამ, ამის მიუხედავად, ბატონი ვოლსკი მაინც უკრაინაზე აკეთებს აქცენტს, იმიტომ, რომ ასე უნდა და ასე აწყობს. დარწმუნებული ვარ, ეს საქმე ასე დარჩება და რიტორიკაც ისეთივე იქნება, როგორიც დღესაა, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

მისივე თქმით, არჩევნების შემდეგ საქმის გამოძიებამ ინტერესი დაკარგა, ვინაიდან ყველა მოქმედება დაკავშირებული იყო წინასაარჩევნო პერიოდთან.

– პერიოდულად ახსენდებათ პროცედურები, მაგრამ მერე ავიწყდებათ. მე ვთხოვე ჩემი მეუღლის მანქანის შემოწმება ჯერ კიდევ 6 ოქტომბერს, მაგრამ თავი არ შეუწუხებიათ. ამის მერე იმ მანქანას მე არ მივკარებივარ. ნივთებსაც კი დიდი წვალებით ვიბრუნებთ. მე პრეტენზია არ მაქვს შსს-ს გამომძიებლებთან, ისინი ყველაფერზე იძულებულები არიან დაეკითხონ პროკურატურას და უკეთეს შემთხვევაში იქიდან პასუხს იღებენ რამდენიმე დღეში, – აღნიშნა დეპუტატმა.

მისივე თქმით, საქმის გამოძიება ადეკვატური მუხლით არ მიმდინარეობს, რაც გამოძიებისადმი უნდობლობის საკითხს დღის წესრიგში აყენებს.

– თუ ტერორიზმის მუხლი არ ესადაგება, მეტი რა უნდა ესადაგებოდეს, მე არ ვიცი, ამ საქმეს. რა პასუხს აძლევენ იმ დაშავებულებს, ერთ-ერთს განსაკუთრებით, რომელიც დღესაც იბრძვის სიცოცხლის გადარჩენისთვის. ისინი განზრახ მკვლელობის მცდელობის გამო არიან ასეთ ვითარებაში?! ისინი რეალურად ხომ ტერაქტის გამო არიან დაზარალებულები.

როცა ამის გაკეთებაც არ უნდათ და როცა არაფერი გვაქვს საქმის გახსნილად გამოცხადებისას, რას უნდა ვენდო, ეგეც არ ვიცი, – დასძინა გივი თარგამაძემ.

# შსს-მ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული დააკავა

სამართალდამცველებმა 1960 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც ინტერპრესნიუსს შსს-დან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს,



თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ღოღობერიძის ქუჩაზე, ეჭვიანობის ნიადაგზე, ნაცნობს, 1949 წელს დაბადებულ ა.ჯ.-ს ცივი იარაღით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ხარაგაულის რაიონში, სოფელ ბორითში, დააკავეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

# გუკა რჩეულიშვილმა სასამართლო პროცესი დატოვა

„ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გუკა რჩეულიშვილმა ბათუმის მაგნოლიას ეპიზოდზე მიმდინარე სასამართლო პროცესი დატოვა.



რჩეულიშვილმა პროცესის დატოვების მიზეზად შეუძლოდ ყოფნა დაასახელა.

– ბოლო პერიოდია, წნევები მაწუხებს და თუ შეიძლება, მე დავტოვებ სხდომას, თუ ეს პროცესის მიმდინარეობას ხელს არ შეუშლის, – აღნიშნა რჩეულიშვილმა.

ამის შემდეგ მან სხდომათა დარბაზი საბადრაგო სამსახურის თანამშრომლების თანხლებით დატოვა.

პროცესმა ასევე მაია რჩეულიშვილის გარეშე ჩაიარა. მაია რჩეულიშვილმა აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე ყველა სასამართლო პროცესზე დასწრებაზე უარი განაცხადა.

ბათუმის მაგნოლიას ეპიზოდზე მოსამართლემ მისი აცილების შესახებ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

როგორც მოსამართლემ განმარტა, დაცვის მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტები უსაფუძვლო იყო, რომელიც არანაირ მტკიცებულებას არ ეყრდნობოდა.

მისივე განმარტებით, არ არსებობს იმის თქმის საფუძველი, რომ მისთვის საქმის დაწერა მოხდა საქმეთა განაწილების წესის დარღვევით.

როგორც ვახტანგ მრელაშვილმა აღნიშნა, თუკი ასეთ ფაქტს ექნებოდა ადგილი, ის თავად აიცილებდა საქმეს და სხვა შესაბამის სამართლებრივ პროცედურებსაც მიმართავდა, ვინაიდან ეს სერიოზული კანონდარღვევა იქნებოდა.

მოსამართლის აცილების შუამდგომლობას არ დაეთანხმა სახელმწიფო ბრალდებაც. როგორც პროკურორებმა აღნიშნეს, გურამ რჩეულიშვილის ადვოკატის, ქეთევან ჩომახაშვილის მიერ შუამდგომლობაში დაფიქსირებული ეჭვი საქმეთა განაწილების წესის დარღვევასთან დაკავშირებით, არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოსამართლის, არამედ მთლიანად თბილისის საქალაქო სასამართლოს შეურაცხყოფაა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ბრძოლები სირიაში გრძელდება

სირიაში ბრძოლები გრძელდება. პროთურქული ორიენტაციის სირიელმა პარტიზანებმა ქალაქი დაბიქი დაიკავეს. მანამდე მას ისლამური სახელმწიფო აკონტროლებდა.

დაბიქს ისლამისტებისთვის სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. თანახმად ლეგენდისა, სწორედ აქ წარმოიშვა ხალიფატი, რის საფუძველზეც შემდგომში ისლამური სახელმწიფო შეიქმნა.

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ უკვე დაიწყო სირიის ტერიტორიაზე არსებული ბუფერული ზონის გაფართოება.

— ეს ტერიტორია ტერორისტებისგან უკვე გაწმენდილია, —



თქვა თურქეთის პრეზიდენტმა და დაამატა, რომ არ გამორიცხავს, ეს ზონა ალეპომდე გაფართოვდეს.

— სანამ ალეპო ანტითურქული ძალების ქვეშაა, მშვიდად ვერ ვიქნებით, — ამბობს ერდოღანი.

# კაროლინას შტატში რესპუბლიკური პარტიის ოფისი დაწვეს

აშშ-ის ჩრდილოეთ კაროლინას შტატში, ქალაქ ჰილსბოროში, უცნობმა პირებმა რესპუბლიკური პარტიის ოფისს ცეცხლი წაუკიდეს.

ხანძრის შედეგად შენობა მნიშვნელოვნად დაზიანდა. ბოროტმოქმედებმა შენობის კედელზე დატოვეს წარწერები, რომლებითაც მოუწოდეს „ნაცისტ რესპუბლიკელებს“ ქალაქის დატოვება.

პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა დონალდ ტრამპმა თავდასხმელებს ცხოველები უწოდა, რომლებიც, მისი მტკიცებით, ჩრდილოეთ კაროლინაში ჰილარი კლინტონსა და დემოკრატიულ პარტიას წარადგენენ.

თავის მხრივ, პრეზიდენტობის კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა მომხდარს შემზარავი და მიუღებელი ფაქტი უწოდა.

ადგილობრივმა პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

# დონეცკში სეპარატისტების სამხედრო მეთაური მოკლეს



დონეცკში განხორციელდა თავდასხმა სეპარატისტული ბანდფორმირებების ერთ-ერთ მეთაურზე, რომლის მეტსახელიცაა მოტოროლა.

ამ კაცის ნამდვილი სახელი და გვარი არსენი პავლოვია. ის 1983 წელს კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში (რუსეთი) დაიბადა, მონაწილეობდა ჩეჩნეთის ომში. დონბასის ომის დაწყებისთანავე იქ წავიდა, როგორც საველე მეთაური.

მოტოროლა სისასტიკით გამოირჩეოდა. ის დაუნდობლად ხვრეტდა, აწამებდა ტყვე უკრაინელებს, აწიოკებდა და ძარცვავდა მშვიდობიან მოსახლეობას.

სახლში, სადაც მოტოროლა ცხოვრობდა, აფეთქდა ლიფტი. იქ თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ყოფილა ჩამონტაჟებული.

აფეთქებისას მოტოროლა ლიფტში იმყოფებოდა და დაიღუპა.

„ლუგანსკის რესპუბლიკის“ მეთაურმა პლოტნიცკიმ მოტოროლას ოჯახს სამძიმარი ოფიციალურად გამოუცხადა.

# პუტინი: აშშ-სთან კონფრონტაცია არ გვსურს



ინდოეთში ჩატარდა სამიტი, სადაც მონაწილეობდნენ ინდოეთის, რუსეთის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის, ჩინეთის წარმომადგენლები. რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკასთან კონფრონტაცია არ სურს.

— აშშ საერთაშორისო ნორმებს არად აგდებს! მიუხედავად ამისა, აშშ-სთან კონფრონტაცია არ გვსურს, — თქვა პუტინმა.



# ტაილანდი: ახალი მეფის კორონაცია ერთი წლით გადაიდო

ტაილანდის პრინცმა ვაჩა ვატიალონგორნმა განაცხადა, რომ კორონაციის ერთი წლით გადადება სურს. მიზეზად ქვეყანაში არსებული გლოვა დაასახელა.

— ჩვენი ტრადიციებით, მეფის სიკვდილის შემდეგ გლოვა ერთ წელიწადს გრძელდება. შესაბამისად უზნეობაა, რომ გლოვის დროს კორონაცია ჩავატაროთ, — თქვა პრინცმა.

# მონტენეგროში სერბი ტერორისტები დააკავეს

მონტენეგროს კონტრდაზვერვამ ქვეყანაში შეჭრილი სერბი ტერორისტები დააკავა. მათ არჩევნების დღეს ტერაქტებისა და არეულობის ინსპირირება სურდათ.

— ჩვენი მიზანი იყო, ხელი შეგვეწყო ამჟამინდელი მმართველი ძალის არჩევნებში დამარცხებისთვის, რომელსაც მონტენეგრო ნატოსა და ევროკავშირისაკენ მიჰყავს, — განაცხადა ერთ-ერთმა დაკავებულმა.



საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა პროევროპულმა „სოციალისტების დემოკრატიულმა პარტიამ“ გაიმარჯვა.

ბიულეტენების 80%-ის დათვლის შედეგად ცნობილი გახდა, რომ პრემიერ-მინისტრ მილო ჯუკანოვიჩის პარტიამ 40%-ზე მეტი დააგროვა.

გამარჯვების მიუხედავად, მმართველმა ძალამ საპარლამენტო უმრავლესობა დაკარგა. მეორე ადგილზე გავიდა პრორუსული ოპოზიციური კოალიცია „დემოკრატიული ფრონტი“, რომელსაც ამომრჩევლის დაახლოებით 20%-მა დაუჭირა მხარი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79.**
**ქ. ზესტაფონი, რუსთაველის 158. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვანკომპანიასესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ზუგდიდმა საქმე გამოიკეთა



გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩი.

**ზუგდიდი-დილა 1:0**

**ზედა ეწერი.** ცენტრალური
1:0 თუთბერიძე (39)

**ზუგდიდი:** ლიტოვჩენკო, სუხომლინოვი, აფაქიძე, ზოზულია, ქანთარია, ტყემალაძე, სიხარულია, ჩუკურა (ბექვაია 84), წურწუმია, სამუშია (მაჩაიძე 80), თუთბერიძე (ერმაჩენკო 74)

**დილა:** მუჯრიშვილი, სალუქვაძე, სამხარაძე, რომარიკი, ღონღაძე, წიქარიძე, ნონიკაშვილი, ერისთავი (ბიასადილა 84), კოფი, მოდებაძე, გელაშვილი (ჩახვაშვილი 26, გამცემლიძე 81)

**გაძევება:** მოდებაძე (67), წურწუმია (70)

მატჩი მოსალოდნელზე მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა და გასაკვირი არც ყოფილა, ვინაიდან, გუნდებს მოგება სხვადასხვა შანსს უზრდიდა. ზუგდიდელთათვის წარმატებამ, მათი უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი რეალურად გაზარდა, ხოლო თუ გორელები მოიგებდნენ, ისინი საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას უკვე თამამად გააგრძელებდნენ.

მართალია, ჯერ ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურია, მაგრამ სტუმრებს ამ მარცხმა, უკვე საპრიზო ტიტულისთვის ბრძოლის გზა შეუმცირა, ხოლო მასპინძლებს – საუკეთესო ათეულში მოხვედრისთვის ბრძოლის გაგრძელება რეალური გაუხდა.

უამინდობამ მინდვრის საფარს თავისი დაღი დაამჩნია, მაგრამ ორთაბრძოლებისთვის ამას ხელი მაინც არ შეუშლია. პირველი სახიფათო მომენტი, მასპინძლებმა შექმნეს, როცა ლევან წურწუმიამ, სახიფათო სტანდარტული შეასრულა, მაგრამ მუჯრიშვილი ბურთს ადგილზე დახვდა. ამის შემდეგაც ინიციატივას კვლავ მასპინძლები დაეუფლნენ და მათი შეტევები გაგრძელდა. გურამ სამუშიას მარჯვენა სახიფათო ჩაწოდებას, მეტოქის საჯარიმოში დროულად ვერავინ გამოეპასუხა, ხოლო შემდეგ ზვიად სიხარულიას ახლო მანძილიდან დარტყმული, გორელთა კარს მცირედით ასცდა. მალევე სტუმართა ფორვარდი ნიკოლოზ გელაშვილი დაშავდა და შესაცვლელი შეიქმნა.

ტაიმის შუაწელისკენ, შიდა ქართლელებმაც სტანდარტულის შესრულების უფლება მოიპოვეს. ნონიკაშვილმა ზუგდიდელთა საჯარიმოში ბურთი სახიფათოდ ჩაჰკიდა, მოდებაძემ ყველას დაასწრო, თუმცა მის ახლო თავურს ზუგდიდელთა კიპერი, სერგეი ლიტოვჩენკო ადგილზე დაუხვდა.

ტაიმის ბოლოსკენ, ზუგდიდელებმა საწადელს მაინც მიაღწიეს და მათ, ლამაზად გათამაშებული კომბინაცია გოლად აქციეს. მეტოქის ნახევარზე, აუტიდან ბურთი რუდოლფ სუხომლინოვმა მოაწოდა, ლევან წურწუმიამ კი პირდაპირ, გორელთა კარის ბაქანისკენ გაგზავნა, პირველ ჯერზე მასპინძლებმა ბურთი უკუაგდეს, ხოლო შემდეგ დიმიტრი ზოზულიამ, რაფაელ ჩუკურას გადაუმისამართა, ამ უკანასკნელმა ბურთი ისევ მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქვე გიორგი ქანთარიამ შესაძლო თამაშგარეს არიდების მიზნით, შეტევის გაგრძელება ზვიად სიხარულიას დაანება, რომელმაც ზუსტი პასით თუთბერიძე დასარტყმელ პოზიციაზე დატოვა და მანაც მოხდენილი დარტყმით გოლად გარდასახა.

მეორე ტაიმში სტუმრებს თამაში უნდა გადაერჩინათ, ხოლო მასპინძლებს შეხვედრა სასურველი შედეგით უნდა დაესრულებინათ. პირველივე წუთებზე, გორელებმა კუთხურის მოწოდების უფლება მოიპოვეს. სტუმართა კუთხურს სალუქვაძის თავური მოჰყვა, თუმცა ზუსტად, კვლავ ზუგდიდელთა უკრაინელმა ლეგიონერმა, სერგეი ლიტოვჩენკომ ითამაშა.

მეორე ტაიმის ნახევრისკენ, მინდორზე ვითარება დაიძაბა. ფეხბურთელები ერთმანეთში წაკამათდნენ და ამან აგრესიული ხასიათი მიიღო, თუმცა ორივე გუნდის წარმომადგენლებმა, საკუთარი ფეხბურთელები დააშოშმინეს, ხოლო მთავარმა არბიტრმა, გიორგი ვადაჭკორიამ ამ არეულობის შედეგად ზუგდიდელთა ფეხბურთელებს, გიორგი ქანთარიას და ლევან წურწუმიას, ყვითელი ბარათი უჩვენა, ხოლო გორელთა ფორვარდი ირაკლი მოდებაძე მოედნიდან გააძევა და სტუმრები კაცნაკლული დატოვა.

სტატუსქვო კი მალევე აღდგა, ვინაიდან გიორგი ვადაჭკორიამ ზუსტად სამ წუთში ზუგდიდელ ლევან წურწუმიას უხეში თამაშისთვის მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან ისიც გაუშვა. გაძევებამდე კი ლევან წურწუმიას ანგარიშის გაზრდის შანსი მიეცა, თუმცა მან მცირედით ააცილა. ზუგდიდელებს ამის შემდეგაც ჰქონდათ მომენტები, მაგრამ ჯერ ზვიად სიხარულიას დარტყმული, მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა, ხოლო შემდეგ გიორგი ქანთარიამ ზუსტად ვერ დაუმიზნა.

ბოლოს მასპინძლები კინაღამ დაისაჯნენ – გორელთა შეტევა, სახიფათო დარტყმით თეიმურაზ ღონღაძემ დაასრულა, ბურთი ერთ-ერთ ზუგდიდელს მოხვდა და ასხლეტით წავიდა – მასპინძლები გოლისგან ძელმა იხსნა. ბოლო წუთებზე გორელები, მასიური შეტევებით შეეცადნენ ქულის გადარჩენას, თუმცა ზუგდიდელთა დაცვის ხაზი შეუვალი იყო.

ბოლო წუთებზე, ისევ ღონღაძე ცდილობდა ხელსაყრელი პოზიციიდან შედეგის შეცვლას, მაგრამ მას ნიკოლოზ აფაქიძე გადაეღობა და სიტუაციაც განმუხტა. მსაჯის საფინალო სასტვენმა კი ზუგდიდელი ქომაგები კიდევ ერთხელ აახმაურა, ამ მოგებით მასპინძლებმა ცხრილში ბოლნისის სიონს ერთი ქულით გადაასწრეს და ერთი საფეხურით დაწინაურდნენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამტრედია | 8 | 5 | 3 | 0 | 16-6 | 18 |
| 2.კოლხეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 7-8 | 15 |
| 3.დინამო (ბთ) | 8 | 3 | 4 | 1 | 12-4 | 13 |
| 4.საბურთალო | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| 5.დილა | 7 | 3 | 0 | 4 | 10-10 | 9 |
| 6.ზუგდიდი | 8 | 2 | 0 | 6 | 4-14 | 6 |
| 7.სიონი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-15 | 5 |

# დინამოს ფეხბურთელებმა ერთმანეთში იჩხუბეს



როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთში საქართველოს ჩემპიონატის მე-9 ტურის მატჩში (გურია დინამო თბ) დედაქალაქური გუნდის ორმა ფეხბურთელმა – რენე სანტოს ფერეირამ და გიორგი პაპუნაშვილმა ერთმანეთში იჩხუბეს, რის შედეგად გიორგი კიკაჩეილმა ორივე მათგანი მოედნიდან გააძევა.

დინამოს პრესსამსახურის ცნობით, კლუბი სანტოსსა და პაპუნაშვილს მკაცრად დასჯის. კლუბის ხელმძღვანელობა აღშფოთებულია ფეხბურთელების ქმედებით და მათ საქციელს გმობს.

– დინამო თბილისის ხელმძღვანელობა აღშფოთებულია ლანჩხუთში მომხდარი ინციდენტით, გმობს დინამოელი ფეხბურთელების – რენე სანტოსისა და გიორგი პაპუნაშვილის საქციელს. კლუბში შედგება მომხდარი ფაქტის დეტალური განხილვა და ორივე მოთამაშე უმკაცრესად დაისჯება.

აქვე გვინდა აღფრთოვანება გამოვხატოთ იმ მოთამაშეების მიმართ, რომლებიც თანაგუნდელთა ქცევის გამო ურთულეს სიტუაციაში აღმოჩნდნენ, არ დაიბნენ, უმოკლეს დროში შეძლეს მობილიზება და მატჩის დადებითი შედეგით დასრულება, – ნათქვამია კლუბის განცხადებაში.

# ზაზამ კრიტიკის შემდეგ მოუმატა, ქართველები ესპანეთში ყოჩაღობენ

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

გარკვეული კრიტიკის შემდეგ გოლდენ სტეიტ ვორიორზის ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია ჩვეულად ათამაშდა და ყოველ მომდევნო მატჩში წინამორბედზე უკეთესი, დახვეწილი და შედეგიანია. ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის ქართველმა ცენტრმა მე-5 საგამოფენო მატჩშიც სასტარტო ხუთეულში ითამაშა და ლოს ანჯელეს ლეიკერსის რუს ცენტრ ტიმოფეი მოზგოვს პირადი დუელი ხომ მოუგო და ამასთან, გოლდენ სტეიტის მაისურით საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა.

რაც ოკლენდში გადაბარგდა, ფაჩულიამ ახალი გუნდის შემადგენლობაში ყველაზე მეტი – 21 წუთი ითამაშა. ოკლენდელთა მწვრთნელი სტივ კერი ქართველ ცენტრს არითმეტიკული პროგრესიით უმატებს წუთებს და ფაჩულიაც ხურდას იმით აბრუნებს, რომ საკუთარ შედეგიანობასა და გუნდურ სისტემაში ჩართულობას განუხრელად აუმჯობესებს.



ფაჩულიამ მოედანზე 21 წუთით ყოფნა 11 ქულით, 8 მოხსნით, 3 პასითა და 1 ჩაჭრით აღნიშნა. ზაზამ ფარქვეშ არაფერი დაუთმო და, რბილად რომ ვთქვათ, ყველაფერში აჯობა ლეიკერსის რუს ცენტრს, ათეულ მილიონებად კლივლენდიდან წამოყვანილ გოლიათ ტიმოფეი მოზგოვს.

რუსმა ცენტრმა მოედანზე 22 წუთი დაჰყო და თუკი ქულებში (10) არა უშავდა, მოხსნებში (4) და პასებში (1) ქართველ ოპონენტს გვარიანად ჩამორჩა.

ფაჩულიამ 11 ქულა ასე მოაგროვა: 5-დან 4 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. როგორც წესი, ფაჩულია და გუნდის სხვა სასტარტოები მატჩის ბოლოს აღარ გამოჩენილან. გოლდენსტეიტელებმა სასტარტოების კარგად დაწყებული საქმე (74:47 პირველი ტაიმის შემდეგ) გამარჯვებამდე მიიყვანეს და ოკლენდურმა გუნდმა პირველი საგამოფენო მატჩის ტორონტოსთან წაგების შემ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

16 ოქტომბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მიდლსბრო-უოტფორდი 0:1
საუთჰემპტონი-ბარნლი 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-8 | 19 |
| 2.არსენალი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-9 | 19 |
| 3.ტოტენჰემი | 8 | 5 | 3 | 0 | 13-4 | 18 |
| 4.ლივერპული | 7 | 5 | 1 | 1 | 18-10 | 16 |
| 5.ჩელსი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-9 | 16 |
| 6.ევერტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 12-6 | 15 |
| 7.მანჩესტერი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-8 | 13 |
| 8.საუთჰემპტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-7 | 12 |
| 9.კრ.პალასი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-9 | 11 |
| 10.უოტფორდი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| 11.ბორნმუთი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-12 | 11 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 8 | 2 | 4 | 2 | 9-8 | 10 |
| 13.ლესტერი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-14 | 8 |
| 14.ბარნლი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-12 | 7 |
| 15.ვესტ ჰემი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-17 | 7 |
| 16.ჰალი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-20 | 7 |
| 17.მიდლსბრო | 8 | 1 | 3 | 4 | 7-11 | 6 |
| 18.სტოკი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-16 | 6 |
| 19.სუონსი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-15 | 4 |
| 20.სანდერლენდი | 8 | 0 | 2 | 6 | 6-15 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჰადერსფილდი-უენსდი ................. 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-მალაგა ............................ 1:1
ბილბაო-სოსიედადი ...................... 3:2
ხიხონი-ვალენსია ........................... 1:3
ვილიარეალი-სელტა ...................... 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 8 | 5 | 3 | 0 | 21-3 | 18 |
| 2.რეალი | 8 | 5 | 3 | 0 | 22-8 | 18 |
| 3.სევილია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-12 | 17 |
| 4.ბარსელონა | 8 | 5 | 1 | 2 | 26-10 | 16 |
| 5.ვილიარეალი | 8 | 4 | 4 | 0 | 14-4 | 16 |
| 6.ბილბაო | 8 | 5 | 0 | 3 | 13-10 | 15 |
| 7.ლას პალმასი | 8 | 3 | 3 | 2 | 16-13 | 12 |
| 8.ეიბარი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-7 | 11 |
| 9.ალავესი | 8 | 2 | 4 | 2 | 9-8 | 10 |
| 10.სოსიედადი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-12 | 10 |
| 11.ლეგანესი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-13 | 10 |
| 12.სელტა | 8 | 3 | 1 | 4 | 9-16 | 10 |
| 13.მალაგა | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 14.ვალენსია | 8 | 3 | 0 | 5 | 11-15 | 9 |
| 15.დეპორტივო | 8 | 2 | 2 | 4 | 5-10 | 8 |
| 16.ბეტისი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-18 | 8 |
| 17.ესპანიოლი | 8 | 1 | 4 | 3 | 9-14 | 7 |
| 18.ხიხონი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-18 | 7 |
| 19.ოსასუნა | 7 | 0 | 3 | 4 | 7-15 | 3 |
| 20.გრანადა | 8 | 0 | 2 | 6 | 8-23 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სარაგოსა-ელჩე ............................. 1:3
კორდობა-სევილია ბ ..................... 0:1
რაიო-ნუმანსია .............................. 3:3
ხიმნასტიკი-ვალიადოლიდი ........... 1:2
მურსია-რეუსი ............................... 0:2
ტენერიფე-კადისი .......................... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

მაინცი-დარმშტადი ........................ 2:1
ვოლფსბურგი-ლაიპციგი ................. 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 7 | 5 | 2 | 0 | 18-4 | 17 |
| 2.კიოლნი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-4 | 15 |
| 3.ლაიპციგი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-5 | 15 |
| 4.ჰერტა | 7 | 4 | 2 | 1 | 12-8 | 14 |
| 5.დორტმუნდი | 7 | 4 | 1 | 2 | 17-7 | 13 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 7 | 3 | 4 | 0 | 13-10 | 13 |
| 7.მაინცი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-12 | 11 |
| 8.აინტრახტი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| 9.გლადბახი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-10 | 11 |
| 10.ლევერკუზენი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-9 | 10 |
| 11.ფრაიბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 8-11 | 9 |
| 12.აუგსბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-9 | 8 |
| 13.ვერდერი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-18 | 7 |
| 14.ვოლფსბურგი | 7 | 1 | 3 | 3 | 4-8 | 6 |
| 15.დარმშტადტი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-14 | 5 |
| 16.შალკე | 7 | 1 | 1 | 5 | 7-11 | 4 |
| 17.ჰამბურგი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-12 | 2 |
| 18.ინგოლშტადტი | 7 | 0 | 1 | 6 | 4-14 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-ნიურნბერგი ................ 0:3
მიუნხენ 1860-ფორტუნა ................. 1:3
უნიონი-ჰანოვერი .......................... 2:1

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-ატალანტა ................ 0:0
ჯენოა-ემპოლი .............................. 0:0
ინტერი-კალიარი ........................... 1:2
ლაციო-ბოლონია .......................... 1:1
სასუოლო-კროტონე ....................... 2:1
კიევო-მილანი ............................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 8 | 7 | 0 | 1 | 17-5 | 21 |
| 2.რომა | 8 | 5 | 1 | 2 | 19-10 | 16 |
| 3.მილანი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-11 | 16 |
| 4.ლაციო | 8 | 4 | 2 | 2 | 14-8 | 14 |
| 5.ნაპოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-9 | 14 |
| 6.კიევო | 8 | 4 | 1 | 3 | 10-9 | 13 |
| 7.კალიარი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-14 | 13 |
| 8.ჯენოა | 7 | 3 | 3 | 1 | 8-5 | 12 |
| 9.სასუოლო | 8 | 4 | 0 | 4 | 11-13 | 12 |
| 10.ტორინო | 7 | 3 | 2 | 2 | 13-8 | 11 |
| 11.ინტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-10 | 11 |
| 12.ბოლონია | 8 | 3 | 2 | 3 | 9-12 | 11 |
| 13.ატალანტა | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| 14.ფიორენტინა | 7 | 2 | 3 | 2 | 6-6 | 9 |
| 15.სამპდორია | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 8 |
| 16.პესკარა | 8 | 1 | 4 | 3 | 8-11 | 7 |
| 17.უდინეზე | 8 | 2 | 1 | 5 | 7-14 | 7 |
| 18.პალერმო | 7 | 1 | 3 | 3 | 4-8 | 6 |
| 19.ემპოლი | 8 | 1 | 2 | 5 | 2-11 | 5 |
| 20.კროტონე | 8 | 0 | 1 | 7 | 6-18 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

ფროზინონე-ბარი ........................... 3:1
პრო ვერჩელი-ნოვარა ................... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-ბორდო ................................. 1:1
სტ.ეტიენი-დიჟონი ........................ 1:1
მარსელი-მეცი ............................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 9 | 7 | 2 | 0 | 16-5 | 23 |
| 2.პსჟ | 9 | 6 | 1 | 2 | 19-7 | 19 |
| 3.მონაკო | 9 | 6 | 1 | 2 | 23-12 | 19 |
| 4.ტულუზა | 9 | 5 | 2 | 2 | 14-7 | 17 |
| 5.გენგამი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-8 | 14 |
| 6.ბორდო | 9 | 4 | 2 | 3 | 12-11 | 14 |
| 7.რენი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-11 | 14 |
| 8.ლიონი | 9 | 4 | 1 | 4 | 15-11 | 13 |
| 9.სტ.ეტიენი | 9 | 3 | 4 | 2 | 11-9 | 13 |
| 10.ანჟე | 9 | 4 | 1 | 4 | 10-10 | 13 |
| 11.მეცი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-16 | 13 |
| 12.მარსელი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-10 | 12 |
| 13.ნანტი | 9 | 3 | 2 | 4 | 6-9 | 11 |
| 14.ბასტია | 9 | 3 | 1 | 5 | 7-8 | 10 |
| 15.მონპელიე | 9 | 2 | 4 | 3 | 12-17 | 10 |
| 16.კაენი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-17 | 10 |
| 17.დიჟონი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-14 | 9 |
| 18.ლილი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-15 | 7 |
| 19.ლორიანი | 9 | 2 | 0 | 7 | 6-15 | 6 |
| 20.ნანსი | 9 | 1 | 2 | 6 | 4-12 | 5 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

დენ ჰააგი-აიაქსი ........................... 0:2
ექსელსიორი-როდა ........................ 0:1
ნაიმეგენი-ფეიენოორდი ................ 1:2
ტვენტე-ზვოლე ............................... 2:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-ზენიტი ............................... 0:2
ორენბურგი-ტომი .......................... 3:1
არსენალი-კრასნოდარი ................. 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.ჰალენი-ვადუცი ........................ 0:2
სიონი-გრასჰოპერსი ...................... 4:2
ლუგანო-იანგ ბოიზი ...................... 0:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერსბურგი-აუსტრია ................. 0:2

**ბელგია. 1 დივიზიონი**

მეხელენი-ოსტენდე ....................... 2:3
ანდერლეხტი-ლოკერენი ............... 1:0
გენტი-ვარეგემი ............................. 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პაოკი-ირაკლისი ............................ 1:0
ატრომიტოსი-ვერია ...................... 1:0
პანათინაიკოსი-ქსანთი .................. 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-ოსმანლი ............................. 0:0
ბაშაკშეჰირი-ქონია ...................... 1:1
ფენერბახჩე-ანთალია .................... 1:1
ტრაბზონი-აკჰისარი ...................... 0:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

სპარტა-იიჰლავა ............................ 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-იაგელონია ........................ 0:0
ლეხი-ვისლა .................................. 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-სტალი .................... 2:0
ზვეზდა-ვორსკლა .......................... 2:0
კარპატი-დნიპრო ........................... 1:1

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ოლბორგი .............. 2:0
ნორდსიელანდი-ბრონდბიუ .......... 1:1
რანდერსი-ოდენსე ........................ 3:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ესტერსუნდი .......................... 2:0
ნორჩიოპინგი-მიოლდე .................. 1:2
იორებრო-კალმარი ........................ 2:1
იონჩოპინგი-ჰაკენი ...................... 1:1
ესლფსბორგი-ჰელსინბორგი .......... 1:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სტარტი-ტრომსო ........................... 2:1
ბრანი-ლილესტრიომი .................... 1:2
მიოლდე-სონგდალი ....................... 0:0
ოდ გრელანდი-ჰაუგესუნდი .......... 2:1
ვალერენგა-სტაბეკი ...................... 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ინტერის ფანები მაურო იკარდის წინააღმდეგ




ინტერში ამჟამად საკმაოდ არასახარბიელო ვითარებაა. გარდა იმისა, რომ გუნდი იტალიის ჩემპიონატში ცუდად თამაშობს და სატურნირო ცხრილში მე-10 ადგილზე იმყოფება, ინტერის ფანები კაპიტანს არგენტინელ მაურო იკარდისაც დაუპირისპირდნენ. საქმე ისაა, რომ იკარდიმ ცოტა ხნის წინ ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა, სადაც რამდენიმე ეპიზოდში ინტერის ფანები არცთუ კარგად არიან მოხსენიებულნი. ამას ისიც დაემატა, რომ იკარდი არცთუ დამაჯერებლად თამაშობს წლევანდელ სეზონში და ინტერის ფანები მისთვის კაპიტნობის ჩამორთმევას ითხოვენ.

აღსანიშნავია, რომ იკარდი მარადონამაც გააკრიტიკა და მას მოღალატე უწოდა.

## ჯო ჰარტს მანჩესტერ სიტიში დაბრუნება არ სურს




ჯო ჰარტს, რომელმაც გვარდიოლასთან უთანხმოების გამო მანჩესტერ სიტი დატოვა და იჯარით ტორინოში გადავიდა, სიტიში დაბრუნება არ სურს.

ამის მიზეზი კი ხოსეპ გვარდიოლაა, რომელთანაც ჰარტმა საერთო ენა ვერ გამონახა. ამჟამად ჰარტი ტორინოს ღირსებას იცავს, მაგრამ ის ისევ მანჩესტერ სიტის ეკუთვნის. არ არის გამორიცხული, მან კარიერა სხვა ინგლისურ გრანდში გააგრძელოს, თუმცა კონკრეტული კლუბები ჯერჯერობით არ სახელდება.

ჯო ჰარტი მანჩესტერ სიტის ღირსებას 2006 წლიდან იცავს და გუნდის შემადგენლობაში მან 300-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა.

## ბარსელონა ალეშ ვიდალს ზამთარში გაყიდის




ბარსელონა ალეშ ვიდალის გაყიდვას აპირებს და ეს უკვე იანვარში მოხდება.

ვიდალი კატალონიურ გუნდში 2015 წელს გადავიდა, მაგრამ თავის დამკვიდრება ვერ შეძლო, ამიტომ მან თვითონ გამოთქვა კლუბის შეცვლის სურვილი.

მისი შეძენა რამდენიმე იტალიურ გუნდს სურს და სავარაუდოდ ვიდალი კარიერას იტალიაში გააგრძელებს.

მისი სატრანსფერო ფასი 13 მილიონი ევროა, ანუ ზუსტად იმდენი, რამდენიც თავის დროზე ბარსელონამ ვიდალის ტრანსფერში გადაიხადა.

წლევანდელ სეზონში ალეშ ვიდალმა ბარსელონას შემადგენლობაში მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა ალავესის წინააღმდეგ, რომელშიც ბარსელონა საკუთარ მოედანზე დამარცხდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**☎ 599-73-48-21.**

## ზაზამ კრიტიკის შემდეგ მოუმატა, ქართველები ესპანეთში ყოჩაღობენ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

დეგ ზედიზედ მეოთხედ მოიგო – ამჯერად 112:107.

გოლდენ სტეიტის სხვა ლიდერების მონაგარი ასეთი იყო: კლეი ტომპსონმა სასტარტო 8 წუთში 18 ქულა ჩააგდო და შეხვედრა საბოლოოდ 24 ქულით დაასრულა. 17 ქულა ჰქონდა კევინ დიურანტს, სტეფ კარიმ კი 18 წუთი ითამაშა და 14 ქულა მიითვალა.

ესპანეთის უმაღლეს ლიგაში ჭეშმარიტად ქართული დერბი ჩატარდა. თორნიკე შენგელიას ბასკონიამ გიორგი შერმადინისა და ბექა ბურჯანაძის ანდორას უმასპინძლა და ამ შეხვედრაში ამინდს უპირველესად ქართველები ქმნიდნენ.

ბასკონიელთა საუკეთესო მოთამაშე შენგელია გახდა, ანდორელთა კი – შერმადინი და ბურჯანაძე. ესპანეთის ჩემპიონატის „ქართულ შეხვედრაში“ კი, ბასკონიამ 95:77 იმარჯვა.

მასპინძელთა პირველი 6 ქულა შენგელიამ მიითვალა. ქართველი ფორვარდი ფაქტობივად შეუჩერებელი იყო. მან ბოლო პერიოდამდე 7-დან 7 ორქულიანი ჩააგდო, საბოლოოდ კი მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა.

ვიტორიული გუნდის ქართველმა ლიდერმა არასრული 27 წუთი ითამაშა და 19 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. თორნიკემ 9-დან 7 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ამ მაჩვენებლებით მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა და შენგელიას ტურის საუკეთესოს ტიტულის მოპოვების შანსიც აქვს. თუ არადა, სიმბოლურ ხუთეულში აუცილებლად შევა.

ანდორაშიც საუკეთესოები ქართველები იყვნენ. გიორგი შერმადინმა 22 წუთში 15 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 2 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 9-დან 6 ორქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. ბურჯანაძემ კი ისეთი შედეგიანობა გამოავლინა, რომ ნებისმიერ სნაიპერსა თუ ბომბარდირს შეშურდებოდა. ბექა სათადარიგო იყო და მოედანზე შესვლიდან 3 წუთში 8 ქულა ჩააგდო. მან 6-დან 6 საჯარიმო და 1-დან 1 ორქულიანი მიითვალა. მთლიანობაში კი, 14 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მოაგროვა. მან 7-დან 3 ორქულიანი და 9-დან 8 საჯარიმო მიითვალა, 1 სამიანი კი ააცილა.

3 მოგებითა და 1 მარცხით შენგელიას გუნდი მე-4 ადგილზეა, ხოლო შერმადინი-ბურჯანაძის ანდორას 3-დან 2 მოგებით მომდევნო, მე-5 ადგილი უკავია. მომდევნო, მე-5 ტურში, 22 ოქტომბერს ანდორელები დაუმარცხებელ ბილბაოს უმასპინძლებენ, ხოლო მეორე დღეს ბასკონია სტუმრად ფუენლაბრადას შეხვდება.

მაიკლ დიქსონის წარმატებული ბერძნული კარიერა გრძელდება. ყველა მატჩში, რომელშიც მან აეკის მაისურით ითამაშა, თანაგუნდელთაგან საუკეთესო იყო და ასე იყო გასულ შეხვედრაშიც.

საბერძნეთის ჩემპიონატის მე-2 ტურში ათენელებმა ლავრიო 96:56 გაანადგურეს, საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებულმა კალათბურთელმა კი მეტოქის სისუსტიდან გამომდინარე მოედანზე მხოლოდ 18 წუთი გაატარა, თუმცა, მატჩის საუკეთესო მოთამაშის ტიტულის მისაღებად ეს მცირე დროც ეყო.

დიქსონი სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ და მასპინძელთაგან უმეტესი 12 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. მაიკლმა 5-დან 3 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

აეკს 2 მოგება მოუგროვდა და საბერძნეთის ჩემპიონატში რეტიმნოსთან ერთად გალიდერდა, რომელმაც ვიქტორ სანიკიძის გარეშე მოთამაშე არისს 69:60 სძლია. მოგეხსენებათ, ქართველი ფორვარდი ტრავმირებულია და მიმდინარე სეზონში გუნდს ვერ დაეხმარება.

სლოვენიის უმაღლესი ლიგის მეორე ტურში რთული გასვლითი გამარჯვება მოიპოვა დუდა სანაძის პრიმორსკამ. დომჟალელები სტუმრად, ქალაქ სენტურში შეხვდნენ ტაიფუნს და დამატებით 5-წუთეულში 86:75 დაამარცხეს.

გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ქართველი ლეგიონერი გახლდათ. სანაძეს თამაში სასტარტო ხუთეულში არ დაუწყია, თუმცა მოედანზე 26 წუთი გაატარა და ნიკოლა გაიჩის (25 ქულა) შემდეგ დომჟალელთაგან საუკეთესო მექულე გახდა.

სანაძემ 10-დან 5 ორქულიანი, 5-დან 1 სამიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. მოგროვებულ 17 ქულას დუდამ 6 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა მოაყოლა. სანაძემ ბურთი 3-ჯერ დაკარგა, 1 ჯარიმა მიიღო და მეტოქეებმა მასზე 3-ჯერ დაარღვიეს წესები.

2-დან 2 გამარჯვებით პრიმორსკა ლიდერთა შორისაა. მომდევნო მატჩს დომჟალელები შინ, 22 ოქტომბერს, როგაშკა სლატინასთან გამართავენ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

### კალეიდოსკოპი

## პარაშუტისტი ფეხზე გამძვრალ ბოტასს გამოედევნა



ამერიკელ მამაკაცს თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტომის დროს ცალ ფეხზე ბოტასი გასძვრა და ქვევით გაფრინდა. პარაშუტისტი არ დაიბნა, ფეხსაცმელს გამოეკიდა დაეწია და დაიჭირა.

მომხდარი ტეხასის შტატის მცხოვრებმა ვიდეოზე გადაიღო, რომლის კამერაც ჩაფხუტზე ჰქონდა დამაგრებული. ვიდეო იუთუბიზე იქნა ახლახან იქნა გამოქვეყნებული, ხოლო თავად ნახტომი 1 ოქტომბერს იქნა შესრულებული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი
### 18 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – ერიდეთ ქალაქიდან გასვლას, განსაკუთრებით – მანქანით. უმჯობესია, თუ სახლში დარჩებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში. **კურო** – საქმის გარჩევები, კამათი და სტრესი არ აგცდებათ, თუმცა მაინც ყველაფერი თქვენს მოთმინებაზეა დამოკიდებული. **ტყუპები** – ნებისმიერი წამოწყება საეჭვოა. არ არის გამორიცხული, დაუფიქრებელ ნაბიჯს სავალალო შედეგი მოჰყვეს. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ არასტაბილურია, მაგრამ, თუ არ იზარმაცებთ, შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე უნდა წახვიდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტი არ აგცდებათ. **ქალწული** – პრიორიტეტების შეცვლა მოგიწევთ. ქალებს სასიამოვნო შეხვედრა გელით. **სასწორი** – ბედი საჩუქარს გიმზადებთ, რომელიც, სავარაუდოდ, ფინანსებს უკავშირდება. ეჭვიანობა უკუაგდეთ. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ. **მშვილდოსანი** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. გარისკვა რეკომენდებული არ არის. **თხის რქა** – კონფლიქტური დღეა. ემოციებს ნუ აჰყვებით. არანაირი შეხვედრა არ დაგეგმოთ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 2. გერმანელი ფილოსოფოსი; 3. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 4. შენიშვნა, განმარტება, დამატებითი ტექსტი; 6. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 9. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 11. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. უბანი ძველ თბილისში; 16. მწვანეთი მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 17. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 19. ჩრდილოეთ ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 21. ღვინის, ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 22. თურქული აბანო.

**თარაზულად:** 5. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 7. კახეთში და ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 10. მტკნარ წყლებში, ჭაობში ბინადარი სისხლის მწოველი ჭია; 12. ფულის ერთეული ჩინეთში; 13. მთავარი მოედანი მილანში; 14. ქაღალდის ფულის შემსწავლელი დისციპლინა; 18. საქონლის წონა შეფუთვიანად; 20. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 23. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 24. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 25. მდინარე აშშ-ში; 26. თხუნელას მეორე სახელწოდება; 27. უმოტორო თვითმფრინავი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ტანკერი; 5. პომპა; 7. მალარია; 9. კანტორი; 10. კალმახი; 13. ტურნირი; 14. სენატი; 15. ორთი; 19. სექტორი; 20. ტრავერსი; 21. კარანტინი; 22. მირაჟი.

**შვეულად:** 1. ტუსკია; 2. კონტრა; 3. პატისონი; 4. ტიკალი; 6. პარიტეტი; 8. ფრახტი; 11. მედისონი; 12. არტერია; 16. ვოლგა; 17. გროგი; 18. გრამი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ასო; 2. ონეგინი; 3. პლებისციტი; 4. ეტი; 5. აგური; 6. ლორნეტი; 7. კიფერ; 8. ბერეტა; 9. კიი; 10. რეგატა; 11. ლანცეტი; 12. გრიფიტი; 13. პაი; 14. კუ; 15. ასტამი; 16. მანდრილი; 17. მადამ; 18. რაიონი; 19. ატოლი; 20. ალტი; 21. რეტი; 22. არიფანა; 23. ოდა; 24. ანანკე; 25. ბორდიური; 26. ანტრე; 27. ანტილოპა; 28. კოლიო; 29. იშ; 30. შოლტი; 31. ერა.

**სურათებზე:** ფედერიკა პელეგრინი; ჯონ ობი მიკელი.

# თბილისობის გალა კონცერტი დაიწუნეს

თბილისობის ორდღიანი დღესასწაული გალა კონცერტით „ჩემო თბილის ქალაქო“ დასრულდა. საღამო რუსთაველის თეატრის მსახიობს ლევან ხურციას და მოდელ თაკო ჩხეიძეს მიჰყავდათ.

ევროპის მოედანზე გამართულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქართული ესტრადის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა და ცნობილი ქართველი კომპოზიტორების სიმღერები ახლებური ინტერპრეტაციით შეასრულეს.

გიორგი სუხიტაშვილმა, მაია ჯაბუამ, ქრისტინე იმედაძემ, თიკა ჯამბურიამ, მარიკა თხელიძემ, აჩიკო ნიჟარაძემ, ჯგუფმა „ნიუტონი“, სალომე კორკოტაშვილმა, ნატო მეტონიძემ, მაკა ზამბახიძემ, ოთო ნემსაძემ, ნუკრი კაპანაძემ, ანა დოიაშვილმა, ნინი ბადურაშვილმა, მარიამ როინიშვილმა და სხვა ცნობილმა მომღერლებმა დავით თორაძის, ბიძინა კვერნაძის და სხვა ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები ახლებურად ააჟღერეს.

ახლებური არანჟირება მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოების უმეტესობისთვის და ნოვაციას მსმენელი არაერთგვაროვნად შეხვდა.

კომპოზიტორმა ოთარ ტატიშვილმა ბიძინა კვერნაძის „ვარდები არ არიან“ ჯგუფ „ნიუტონის“ შესრულებით მიუღებლად მიიჩნია.

**ოთარ ტატიშვილი, კომპოზიტორი:**

– ავტორის ჩანაფიქრის ასეთი ფორმით მიწოდება ჩემთვის მიუღებელია და კარიკატურის ტოლფასია, რასაც ბატონი ბიძინა კვერნაძე არ იმსახურებს ნამდვილად. შესაძლოა ახლებურად საინტერესოდ გააჟღერო, ეს უნდა გაკეთდეს ძალიან ფრთხილად და მოწიწებით, ისე, რომ ავტორის ჩანაფიქრი და სიმღერის დრამატურგია არ შეილახოს. არ ვიცი, აბა თქვენ განსაჯეთ, იქნებ მე სულ გამოვშტერდი? დროს ჩამოვრჩი და აღარაფერი მესმის ქვეყანაზე. რაც მთავარია, წამყვანებს ძალიან მოსწონთ დაწერილი სცენარის მიხედვით.

**დავით ფოცხიშვილი, ანსამბლ „მეტეხის“ ქორეოგრაფი:**

– ვუყურე კონცერტს, „ძველ თბილისში“ რომ გაიმართა და გადავირიე, სიმღერა რომ არის „ხუჭუჭა პატარა“ ჯერ რას გვანან ეს მომღერლები, რა მიმდევრობაა ვერ ჩავწვდი მე, როგორც მელომანი... ალბათ მიმდევრობა „ძონძი“ როგორ აცვიათ, ეს არის სტილი და მოდა? ამ სიმღერაში ფული მისცეს ხო? ან მელოდია როგორ დაუმახინჯებიათ, გემოვნება ჩკა..... საღოლ! ეგრე გააგრძელეთ! და ბოლოს 2 კაცი გეყოლებათ ესტრადას დარბაზში....

**ნატო ებანოიძე, მსახიობი:**

– შემთხვევით გადავრთე კონცერტზე, რაც მიდის სახალხოდ და მეჩვენება, თუ დაგვცინიან. ქართული ჰიტები რაც არაფერში არ წერია, ვერ ცერთ სიმღერა ვერ ვიცანი, რა უქნეს ვერ ვხვდები. მე მეჩვენება თუ ასეა მართლა?

**ჯონი ჯანაშია, მომღერალი, ექიმი:**

– ვინც უყურებს „თბილისობის“ კონცერტის ტრანსლაციას, მითხარით თუ გსმენიათ ოდესმე ქართული სიმღერების ასეთი მასობრივი გაუპატიურება? ყველა კომპოზიტორს ერთად ჩააფურთხეს სულში.



**დავით გველესიანი, ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალი:**

– რომ არ დავწერო ჩემი აზრი, არ შემიძლია. თბილისობის დასკვნით კონცერტზე რაც მოვისმინე რამდენიმე სიმღერა, ეს იყო კატასტროფა!!! შემოდგომის ყვავილების და ქარი კვლავ არხევს სიმღერების ავტორები ბატონი ბიძინა კვერნაძე და გუგული თორაძე ალბათ საფლავში გადატრიალდნენ. მეგობრებო, ასე არ შეიძლება! ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი!!!

**ნიკა ნიკვაშვილი, პიანისტი:**

– მინდა გითხრათ, რომ სანამ არ ეღირსება საქართველოს ნორმალური და პროფესიონალი ხმის რეჟისორები, რომლებიც უნდა გაემგზავრონ საზღვარგარეთ და ისწავლონ ეს სპეციალობა!!!!! დიახ, უნდა ისწავლონ!!! კონსერვატორიაში ჩვენთან საფრანგეთში ეს ცალკე სპეციალობაა, რომელსაც ესაჭიროება სწავლა, რაც არ უნდა კარგი მუსიკოსები და რეჟისორები გვყავდეს, არასოდეს გამოვა მაღალი ხარისხი! ასევე ეს საზოგადოებრივი მაუწყებელი როდემდე უნდა იყოს ნამდვილი ნაგვის ყუთი!!!! შეიძლება ასეთი აპარატურა ჰქონდეს დღემდე??? შეიძლება ნახევარი საუკუნის წინანდელი დანადგარებით მუშაობდნენ, როდესაც ბიუჯეტიდან ამხელა თანხები ირიცხება მათ ანგარიშზე?!

# ნიკა გვარამია: „თბილისობა არის საბჭოთა ბანძობა“



ასე შეაფასა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ თბილისობის დღესასწაული, რომელიც უკვე 38 წელია ტრადიციულად იმართება.

ორიდღიანი ღონისძიებები აერთიანებს გასართობ, კულტურულ სანახაობებს. თბილისის უბნებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები ტარდება და დედაქალაქის მცხოვრებლებისა თუ სტუმრებისთვის მრავალფეროვანი პროგრამაა წარმოდგენილი.

„რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელი ნიკა გვარამია თბილისობის დღესასწაულს სოციალურ ქსელში აკრიტიკებს და მას საბჭოთა ბანძობას უწოდებს.

– თბილისობა არის საბჭოთა ბანძობა.

ნიკა გვარამიას მოსაზრებას სოციალურ ქსელში ათასამდე მოწონება აქვს. „თბილისობას“ „შევარდნაძის პირმშო პრაზდნიკს“, „ედიშოუს“ და ვირიშვილების პარადს უწოდებენ. როგორც მოსახლეობა აცხადებს, თბილისობისთვის მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა და ამ ყველაფრით ისე ნასიამოვნებმა ხალხმა ისიამოვნა.

# თბილისობის დღესასწაულზე თბილისზე მზრუნველები დაჯილდოვდნენ



თბილისობის დღესასწაულზე დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ „თბილისზე მზრუნველი“ 7 ადამიანი დააჯილდოვა. „თბილისზე მზრუნველი“-ს ჯილდო, წელს, რესტავრატორ ლელა ნინოშვილს, თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმ მაია სვანიშვილს, 41-ე ბაღის დირექტორ მაყვალა ჩუბინიძეს, ბიბლიოთეკარ ნანა ხომერიკს, მეტროს მემანქანე შაქრო ხვედელიძეს, №19 ხელოვნების სკოლის დირექტორ თამაზ მოლაშვილს და რესტავრატორ ზაზა ჯალალს გადაეცათ.

დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ „თბილისზე მზრუნველებს“ სიმბოლური საჩუქრები სიგელები და მედალიონები გადასცა.

– გილოცავთ! თითოეული თქვენგანი დედაქალაქისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია! თითოეულ თქვენგანს, განსაკუთრებული წვლილი მიგიძღვით ჩვენი ქალაქის წინაშე! რომ არა თბილისისა და საკუთარი საქმის დიდი სიყვარული, პროფესიონალიზმი, თავდადება, ალბათ, ვერ შეძლებდით გეცხოვრათ ასე ღირსეულად და ყოველდღიურად გეზრუნათ თბილისზე, – აღნიშნა დავით ნარმანიამ.

უკვე მესამე წელია, დედაქალაქის მერიამ „თბილისზე მზრუნველი“-ს ჯილდო დააწესა. ჯილდო, ყოველწლიურად, იმ მოქალაქეებს გადაეცემათ, ვინც უანგაროდ ემსახურება საკუთარ პროფესიას, ზრუნავს და საკუთარი წვლილი შეაქვს დედაქალაქის განვითარებაში.

ღონისძიება, „თბილისობა 2016“-ის ფარგლებში, თბილისის საკრებულოში გაიმართა.

თბილისობის ორდღიანი დღესასწაულის დასასრულს კი თბილისის ანძა სადღესასწაულოდ საზეიმო ფერებში აინთო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ნაღდი კაცის, სულით ლამაზი ვაჟკაცის, მეგობრებისთვის სამაგალითო, სათაყვანებელი, კოლორიტული პიროვნების, ბატონი

## ვანო ნიკოლოზის ძე შენგელიას



ნაადრევად წასვლა ამქვეყნიდან მოუშუშებელი დანაკლისია არა მარტო მისი ოჯახისათვის, არამედ მთლიანად ძირძველი სამურზაყანოსათვის, მით უმეტეს, ჩვენთვის – მისი მეგობრებისათვის.

რაჟდენ ქარდავა, ნოდარ ზარანდია, გოგი მესხია ოჯახებით

მეზობლები გულისტკივილით იუწყებიან საყვარელი პიროვნების

## ვანო ნიკოლოზის ძე შენგელიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

იგორ გელენავა, ემირ ვარდანია, მირიანე ჯობავა, ზაურ კვატანია ოჯახებით

გალის მრავალდარგოვანი პროფტექსასწავლებლის ყოფილი თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან

## ვანო ნიკოლოზის ძე შენგელიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ზაირა ზაქრაძე, ზაირა მორგოშია, აკოტი იზორია, რადიონ ჩხოლარია

## ჯემალ ქირიას ხსოვნას



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თეატრის დირექტორი ჯემალ ქირია.

წლეულს, 7 ივნისს, ჯემალ ქირიას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. მისი შრომითი 42-წლიანი ბიოგრაფია უკავშირდება კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს. 2004 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო თეატრის დირექტორი, რომელიც მისთვის მეორე ოჯახივით იყო და მას დიდი წვლილი მიუძღვის მის განვითარებაში.

მისი ხსოვნა მარად დარჩება მისი თანამშრომლებისა და ახლობელ-მეგობრების გულში.

გალის რაიონის კეთილი ნების ადამიანები, პირველი გალის საშუალო სკოლის ყოფილი და ამჟამინდელი კოლექტივის წევრები, ნათესავები, მეგობრები და მეზობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დიდებული მოქალაქის, კაცური კაცის, სტუმართმოყვარე, მოქეიფე, დარდიმანდი ადამიანის, განსაკუთრებული პრინციპების მქონე პიროვნების

## ჯემალ (ჯემიკო) ერასტოს ძე ბიბლაიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის უახლოეს ნათესაობას.

მეგობრების სახელით, რაჟდენ ქარდავა

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ელისაბედ II ტახტზე ყველაზე დიდხანს მჯდომი მონარქი გახდა



დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს დღეს მცხოვრებ მონარქთა შორის ყველაზე დიდი ხნის განმავლობაში უჭირავს სამეფო ტახტი. ეს კი მას შემდეგ მოხდა, როდესაც ტაილანდის 89 წლის მეფე პხუმილონ ადულიადეტი გარდაიცვალა. ის ტახტზე 1946 წელს ავიდა. ადულიადეტის გარდაცვალების მიზეზი ჯერ არ დაუზუსტებიათ.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ოქტომბერში ელისაბედ II ოფიციალურად გახდა ყველაზე ხანგრძლივი მონარქი დიდი ბრიტანეთის ისტორიაში. მან საკუთარი დიდი ბებიის, დედოფალ ვიქტორიას რეკორდი დაამხო, რომელიც 23.226 დღეს, 16 საათსა და 23 წუთს შეადგენდა.

ელისაბედ ალექსანდრა მარია 1926 წლის 21 აპრილს დაიბადა ლონდონში, იორკშირის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ოჯახში. დიდი ბრიტანეთის დედოფლად ის 1952 წლის 6 თებერვალს აკურთხეს. სწორედ ამ დღეს გარდაიცვალა მისი მამა, მეფე გეორგ VI. დედოფლად კურთხევის ოფიციალური ცერემონია 1953 წლის 2 ივნისს გაიმართა ლონდონის ვესტმინსტერის სააბატოში.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

**სამშაბათი 18 ოქტომბერი**

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 07.00, 17.00 დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" 08.00 ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.20 მხ/ფ "**აეროპორტი.77**" 15.00 "x სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა 22.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა 00.30 საფეხბურთო მიმოხილვა 01.00 მხ/ფ "**ღამე**" (მ.ვიტი) 03.00 მხ/ფ "**ბრძოლა**"

08.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 09.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "მუსორგსკი-სურათები გამოფენიდან " 12.00 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 15.00, 18.00, 20.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა 21.00 "არგუმენტების დრო" 21.50, 01.10 ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი**" 22.40 **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" 00.40 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35 სერ. "**პატარძალი**" 18.50, 19.03 სერ. "**ღირსების სახელით**" 9 სერ. 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 ცოდნა ფულია 23.30 გრიფით საიდუმლო 00.00 მხ/ფ "**უკანასკნელი ციხე-სიმაგრე**" 02.35 მხ/ფ "**ძილის წინ**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი - 2016 სპორტ ტაიმი 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**სკანდალი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00, 1.50 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 ცოლები და ქმრები 17.30 სერ. "**ახალი გოგო**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 23.30 მხ/ფ "**მამაცი**"

06.10 სპექტაკლი "**მამაშვილობაში**" 07.10 დ/ფ "გოგი ცაბაძე" 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 პატერიკი-სიხარების მხილება უფლისგან 10.40 არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია "თერჯოლა" 11.15 დ/ფ "ალაზანი-მესხეთი" 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მხ/ფ "**მიზანი**" 1 ნაწ. 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კიპარისი" 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ტელეზღაპარი "ტუტა და ლუდვიგ XIV" 15.40, 15.55 დ/ფ "მსოფლიო საგანძური" 16.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 16.30 სიმღერის კვალდაკვალ "სიღნაღი" 17.05 დ/ფ "ოვალური ბურთი" 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ღია აუდიტორია ირინა აბესაძე "შალვა ქიქოძე და გერმანია" 20.05 დ/ფ "სხალთახიხანის ხეობა" 20.40 ძილი ნებისა "აბადამაცადე" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 გამოყენებითი ხელოვნება "ქარგვა" 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.50 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.40, 2.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ტატიანა**" 10.05, 19.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.05, 13.00 სერ. "**ვერონიკა**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05, 1.00 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.35, 2.00 სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**ბემი**" 21.40 "ღამის კონტაქტი" 22.55 "აკრედიტაციის გარეშე" 23.15 სერ. "**ესკობარი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.3537

ევრო — 2.5942

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8670

100 რუსული რუბლი — 3.7183

## ამინდის პროგნოზი 18 ოქტომბრისთვის




## 19 ოქტომბრიდან

### ტიმურ ვერმესი

### ის კვლავ აქ არის




„ის კვლავ აქ არის“ სატირულ-იუმორისტული რომანია, რომელიც ადოლფ ჰიტლერის თანამედროვე გერმანიაში გამოღვიძებას აღწერს.

დროში გადანაცვლებული ფიურერის თვალით დანახული დღევანდელი გერმანიისა და ევროპის რეალობა ერთდროულად სასაცილოცაა და დამაფიქრებელიც.

უნგრული წარმოშობის გერმანელი პოლიტოლოგის ტიმურ ვერმესის ამ რომანმა გამოსვლისთანავე დაიმსახურა მკითხველთა ინტერესი და მსოფლიოს 41 ენაზე მილიონობით ეგზემპლარი გაიყიდა.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 12 ოქტომბრიდან




### კახეთი

### გზამკვლევი

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**

## 18 ოქტომბრიდან

### ოლივერ ტვისტი

### ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით




ჩარლზ დიკენსის კლასიკური ნაწარმოები „ოლივერ ტვისტი“ პირველად 1838 წელს გამოიცა და მას შემდეგ უამრავ მკითხველს შეაყვარა თავი.

ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარში დაბადებული ობოლი ბიჭუნას ამაღელვებელი თავგადასავალი ყველას ერთნაირად აუჩუყებს გულს.

წიგნი ერიკ კინკეიდის ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## იუმორი



დილით მამაკაცი ქალს ეუბნება:

– მას შემდეგ, რაც მოხდა, მე, როგორც კეთილშობილი ადამიანი, ვალდებული ვარ, თქვენზე ვიქორწინო.

– და რა მოხდა? – ეკითხება შეშინებული ქალი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ცოლი ოპერაში „ოტელოზე“ მყავდა.

– კულტურული ღონისძიებების ფარგლებში?

– არა, პროფილაქტიკისთვის...

•••

პროფესორი სტუდენტს მიმართავს:

– რატომ გძინავთ ლექციაზე?

– არ მძინავს, უბრალოდ, თვალებს ნელ-ნელა ვახამხამებ.

•••

ცოლი საყვარელთან ერთად საწოლში ნებივრობს. ამ დროს ქმარი შემოვარდა. ქალი საყვარელს უყვირის:

– ძვირფასო! დაუმტკიცე, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ!

– რა, მასაც?

•••

ორი პროფესორი პარკში სკამზე ზის და ისვენებს. ერთი მეორეს ეუბნება:

– და მაინც, ადამიანი საოცრად უცნაური არსებაა.

– ასე რატომ ფიქრობ კოლეგა?

– საკმარისია ნებისმიერ მათგანს უთხრა, რომ კოსმოსში 9567432876932176978 ვარსკვლავია, რომ დაგიჯერებს. ხოლო საკმარისია სკამზე მიაკრა წარწერა „ფრთხილად შეღებილია!“ რომ აუცილებლად შეამოწმებს თითით.

•••

სტუდენტი შვილი არდადეგებზე მშობლებთან ჩავიდა. მაცივრის კარი გამოაღო და ხედავს, შიგნით „პლეიბოის“ მოდელის დიდი შიშველი ფოტოსურათია მიკრული. გაკვირვებული დედას ეკითხება:

– დედა, ეს რა არის ამ მაცივარში?

– ფოტოსურათზე მეკითხები?

– ჰო.

– იმისთვის მივაკარი, რომ ნაკლები ვჭამო.

– ეგ როგორ?

– ყოველ ჯერზე, როდესაც კარს ვაღებ და ფოტოსურათს ვხედავ, ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთი ფიგურა მინდა რომ მქონდეს.

– მერე, შედეგი გამოიღო?

– ჰოც და არაც.

– ეგ როგორ გაიგო?

– მე ხუთი კილო დავიკელი წონაში, ხოლო მამაშენმა 10 კილო მოიმატა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 13 ოქტომბრიდან

### ჩემი პირველი სიტყვები

### ცხოველები




გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**

## 21 ოქტომბრიდან




### მაიკლ პუნკე

### გადარჩენილი

რომანის მთავარ გმირს, ჰიუ გლასს, თავს დაესხა დათვი გრიზლი და დაასახიჩრა. მომაკვდავი თანამეგზურებმა მიატოვეს.

გლასი გადარჩა და დამნაშავეებზე შურის საძიებლად გაემართა. სწორედ აქ იწყება ჰიუ გლასის გადარჩენის დაუჯერებელი ამბავი.

ჰოლივუდში ამ რომანის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა 2016 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო, ოსკარი დაიმსახურა.

ნანატრი ოსკარი მიიღო მთავარი როლის შემსრულებელმა ლეონარდო დი კაპრიომაც, რომლისთვისაც ეს პირველი ოსკარია.

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

## საბა კვერკველია შესაძლოა როსტოვში გადავიდეს



საქართველოს ნაკრების და ყაზანის რუბინის მცველი საბა კვერკველია ზამთარში შესაძლოა როსტოვში აღმოჩნდეს.

როსტოვმა გასულ სეზონში რუსეთის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და ამჟამად ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს. კვერკველიას საქმეები რუბინში არცთუ სახარბიელოდ აქვს და ის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება.

საბას ჯერ კიდევ ზაფხულში უნდოდა კლუბის გამოცვლა, მაგრამ რუბინმა მას ამის შესაძლებლობა არ მისცა.

მიუხედავად ამისა, როსტოვი კვლავ იჩენს ინტერესს ქართველი ფეხბურთელის მიმართ და იანვარში ამ ტრანსფერის განხორციელება საკმაოდ რეალურია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ვაკო ყაზაიშვილი შესაძლოა რეალის წინააღმდეგ ვიხილოთ

ვაკო ყაზაიშვილი, რომელიც ვარშავის ლეგიის ღირსებას იცავს, შესაძლოა მადრიდის რეალის წინააღმდეგ ვიხილოთ.

ყაზაიშვილი ლეგიის გაფართოებულ შემადგენლობაში მოხ-



ვდა, ამიტომ მას მოედანზე გასვლის რეალური შანსი აქვს. შეხვედრა მადრიდში სანტიაგო ბერნაბეუზე გაიმართება და ამ მატჩში ყაზაიშვილის გუნდს ძალიან მცირე შანსი აქვს, მაგრამ ყაზაიშვილისთვის რეალის წინააღმდეგ თამაში უდაოდ დაუვიწყარი შთაბეჭდილება იქნება.

შეხვედრა დღეს, თბილისის დროით 22.45 საათზე დაიწყება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ხევსურული ტანსაცმელი; 3. კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 4. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 5. ტანსაცმლისა და თეთრეულის კარადა; 8. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 12. იაპონური ჭიდაობა; 13. სამეცნიერო დაწესებულება; 14. მტაცებელი ფრინველი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში; 20. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 6. ისტორიული რკინიგზის სადგური ლონდონში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. სასტუმრო თბილისში; 9. აეროპორტი პარიზში; 10. სტაფილოში არსებული პიგმენტი; 11. კოსმოდრომი რუსეთში; 15. შუშხუნა ღვინოების დასაყენებელი სპეციალური ავზი; 17. ბალტიის ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 19. ესპანელი მხატვარი; 21. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 22. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 23. ოდესის ძველი სახელწოდება.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი